პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 48-ე წელი
№ 193 (13885) | პარასკევი, 18 აგვისტო, 1967 წ. | ფასი 2 კაპ.

საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული

მოსკოვიდან მოვიდა ცნობა, რომ 1967 წლის მეორე კვარტალის მუშაობის შედეგებით სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამიმარჯვეს საქართველოს სს რესპუბლიკის მთელ რიგ საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივებმა.

სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროსა და სოფლის მეურნეობისა და დამზადების მუშათა და მოსამსახურეთა ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია მიენიჭა საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს თბილისის რკინაბეტონის კონსტრუქციების ქარხნის კოლექტივს.

რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ ზუგდიდის განყოფილების კოლექტივს მიენიჭა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გაერთიანება „საქსოფლტექნიკისა“ და სოფლის მეურნეობისა და დამზადების მუშათა და მოსამსახურეთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დამზადების სახელმწიფო კომიტეტისა და სოფლის მეურნეობისა და დამზადების მუშათა და მოსამსახურეთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია მიენიჭა ფოთის № 2 წისქვილკომბინატის კოლექტივს.

სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს კოლეგიისა და ქვანახშირის მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით მესამე ფულადი პრემია მიენიჭა ტყვარჩელის ქვანახშირის ტრესტის № 1 შახტის კოლექტივს. (საქდესი).

მასწავლებელთა ფორუმები

ახალი სასწავლო წლის დაწყებას ტრადიციულად წინ უსწრებს მასწავლებელთა აგვისტოს თათბირები.

ასადგენია ახალი ციხე-სიმაგრე, ახალი ზღუდე ცოდნის მწვერვალისაკენ მიმავალ დიდ გზაზე. სექტემბერს იწყება ამ ახალი ზღუდის გადალახვისათვის მორიგი დიდი ლაშქრობა. მანამდე კი ამ ლაშქრობის სარდლობა — პედაგოგთა არმიის წარმომადგენლობა — თავის აგვისტოს ტრადიციულ თათბირებზე იმსჯელებს იმ გზებსა და მეთოდებზე, იმ საშუალებებზე, რომლითაც უკეთ იქნება ზღუდე გადალახული.

მასწავლებელთა აგვისტოს თათბირები გულგრილი ვერ იქნებიან სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ისეთი უბრალესი პირობების მიმართ, როგორიც არის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ბინა, შენობა. როგორია ამ მხრივ სურათი რესპუბლიკაში? პარტიული ორგანიზაციების შეუნელებელი ყურადღებისა და დახმარების შედეგად წელს ბევრი რამ გაკეთდა სასკოლო მშენებლობის დარგში. ამ დამკვრელურ უბანზე ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები, განათლების ორგანოები და შიფი ორგანიზაციები დიდ მუშაობას ეწევიან რესპუბლიკის სკოლებში საკლასო ოთახების, კაბინეტ-ლაბორატორიების მომზადებისათვის. მშენებლები იბრძვიან, რათა 1 სექტემბრისათვის დაამთავრონ და საექსპლოატაციოდ გადასცენ 60 ახალი სასკოლო შენობა 16 ათასი მოსწავლის ადგილით, ხოლო მიმდინარე წლის ბოლოამდე ჩაბარონ 32 საბავშვო დაწესებულების შენობა 3680 ადგილით, რომელთა მშენებლობა გათვალისწინებულია განათლების სამინისტროს სახელმწიფო კაპიტალური დაბანდების გეგმით. ჩვენი სკოლა-ინტერნატებისა და მასწავლებელთათვის შენდება საცხოვრებელი შენობები 7518 კვ. მეტრი საერთო ფართობით.

ამასთან უნდა ითქვას, რომ მთელ რიგ ობიექტებზე კვლავ ჩამორჩენას აქვს ადგილი. ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ახალი სასწავლო წლისათვის ასამუშავებელი ობიექტების შენებლობის შვიდი თვის გეგმა მხოლოდ 71 პროცენტით იყო შესრულებული. აგვისტოს დარჩენილი დღეები უნდა გამოცხადდეს დამკვრელურ დღეებად. ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირულმა, შეფმა ორგანიზაციებმა ყველა ღონისძიება უნდა მიიღონ, რათა ასამუშავებელი ობიექტები დროზე დაამთავრონ, 1 სექტემბერს პირველი ზარი დაირეკოს და ათეულ ათასობით ბავშვებს, მასწავლებლებს, მშობლებს გული გაუხარონ.

სასკოლო და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა აუცილებელი საფუძველია სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მაღალ დონეზე დაყენებისათვის.

როგორ აღვზარდოთ უკეთ და უკეთესი? — აი კითხვა, რომელიც მთელი თავისი სერიოზულობით დგას დღეს არა მარტო პედაგოგიური, არამედ საერთოდ ჩვენი საბჭოთა საზოგადოებრივობის წინაშე.

აგვისტოს პედაგოგიური თათბირები სწავლა-აღზრდის ფრონტზე გაწეული მუშაობის გამოცდილების სასარგებლო ტრიბუნაა. პედაგოგთა ამ დიდი ფორუმების შთამაგონებელი და მამოძრავებელია პროგრამა, დასახული სკკპ XXIII ყრილობის მიერ: „გავითვალისწინოთ სახალხო განათლების შემდგომი განვითარება, მოსახლეობის ზოგადსაგანმანათლებლო დონის ამაღლება და კადრების მომზადების ხარისხის გაუმჯობესება, ხუთწლედის მანძილზე ძირითადად დავამთავროთ ახალგაზრდობის საყოველთაო საშუალო განათლების შეფოლება“.

რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში წელს შესასვლელმა გამოცდებმა ჭეშმარიტად კარგი მდგომარეობა გამოავლინა, უკეთესი შედეგები მოგვცა, ვიდრე გასულ რომელიმე წელს გვქონდა. ენასა და ლიტერატურაში, ზუსტ მეცნიერებებში ახალგაზრდობა წელს ნამდვილად სერიოზულ მომზადებას და უფრო ღრმა ცოდნას აჩვენებს, ვიდრე ოდესმე წინათ. ბოლოსდაბოლოს მოსწავლე ახალგაზრდობის უდიდესმა ნაწილმა ღრმად შეიგნო ცოდნის შეძენისათვის ბრძოლაში სიბეჯითის აუცილებლობა. ცხოვრების კარნახით ბავშვები ახლა უფრო ნაყოფიერად მეცადინეობენ, უფრო მეტ პასუხისმგებლობას გრძნობენ პედაგოგების, მშობლების, სახელმწიფოს წინაშე. ეს კარგია. ეს შეგნება უნდა გაღვივითაროთ, განვუმტკიცოთ ბავშვებს. პედაგოგი სწავლა-აღზრდაში მაშინ მიაღწევს წარმატებებს, როცა მას მიჰყვება კლასი, ინტერესით უსმენს ბავშვი, როცა უყვართ საგანი, რომელსაც იგი ასწავლის.

ამიტომაც მუდმივი შემოქმედებითი ძიება, ეფექტური მეთოდების გამოყენება, გამოცდილების ურთიერთგაზიარება, მუშაობის ანალიზი განუყოფელი უნდა იყოს პედაგოგის მოღვაწეობაში.

მასწავლებელთა აგვისტოს თათბირებმა უნდა იმსჯელონ იმ ღონისძიებებზე, რომლებიც სკოლებში უნდა განხორციელდეს სწავლებისა და აღმზრდელობითი მუშაობის დონის შემდგომი ამაღლებისათვის.

წლევანდელი სასწავლო წელი მრავალმხრივ არის განსაკუთრებული და პასუხსაგები. სახალხო განათლების ორგანოები შეუდგებიან საყოველთაო საშუალო განათლების შემოღების მეორე — 1967-1968 სასწავლო წლის სიძნელეთა გადალახვას და ამ უბანზეც ახალი წარმატებებით გაგვახარებენ.

წლევანდელი სასწავლო წელი ღირსშესანიშნავია იმით, რომ იგი ემთხვევა დიდ თარიღს — ოქტომბრის 50-ე წლისთავის იუბილეს, ოქტომბრისა, რომლის შუქი ისევე როგორც ჩვენი ცხოვრების ყველა უბანს, სახალხო განათლებასაც უნათებს გზას. მასწავლებელთა აგვისტოს თათბირებმა უნდა განიხილონ ის ღონისძიებები, რომლებიც აამაღლებენ მოსწავლეთა პატრიოტული და ინტერნაციონალური აღზრდის დონეს. ლენინური კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა თავის თეზისებში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50-ე წლისთავისათვის თვალსაჩინო ადგილი დაუთმო საბჭოთა ადამიანის კომუნისტური აღზრდის პრობლემებს და დასახა ამ მიმართულებით სამოქმედო ნათელი გზა. მასწავლებელთა აგვისტოს თათბირებმა უნდა შეიმუშაონ ღონისძიებანი, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყონ ნორჩი თაობის კომუნისტურ აღზრდას, ჩაუნერგონ მოსწავლე ახალგაზრდობას პატრიოტიზმის წმინდა შეგნება.

მთელ სასკოლო მუშაობაში უმთავრესია სასწავლო პროცესის სწორი ორგანიზაცია. უამისოდ ვერ მივაღწევთ იმას, რომ საშუალო სკოლების კურსდამთავრებულთა ზოგადსაგანმანათლებლო მომზადება შეესაბამებოდეს დროის მაღალ მოთხოვნებს. საგნების სწავლება მტკიცედ უნდა დავუკავშიროთ ცხოვრებას, პრაქტიკას, აღვკვეთოთ ბევრ სკოლაში დღემდე არსებული ჩამორჩენა ენისა და ლიტერატურის, მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის სწავლებაში. სასწავლო პროცესის სწორი ორგანიზაციით უნდა შევძლოთ მოსწავლეთა ცოდნის დონის ამაღლება.

ვინ არის მთავარი ფიგურა მთელ ამ საქმეში? — ცხადია, მასწავლებელი, პედაგოგთა კოლექტივი, სკოლის დირექცია; მაგრამ პედაგოგთა კოლექტივი ვერას გახდება, თუ მას გვერდში არ ამოუდგებიან მშობელთა კომიტეტი, პარტიული, კომკავშირული, პიონერული ორგანიზაციები.

ყველა ამ მნიშვნელოვან საკითხზე ექნებათ სჯა-ბაასი მასწავლებლებს თავიანთ აგვისტოს თათბირებზე. ახალი სასწავლო წელი კარს მოგვადგა. მალე დაირეკება სასიხარულო ზარი პირველი სექტემბრისა. არაფერი არ უნდა დავიშუროთ სკოლის ცხოვრებაში ამ ღირსსახსოვარი დღისათვის მოსამზადებლად.

მასწავლებელთა აგვისტოს თათბირებიც ნორჩი თაობის აღზრდის დიდ პრობლემებს ემსახურება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში აჭარა ემზადება

ამრამდენიმე დღის წინათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ განიხილა პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის ანგარიში „აჭარის ასს რესპუბლიკაში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ“.

ავტონომიური რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციებმა დროზე გააჩაღეს მზადება ოქტომბრის სახელოვანი იუბილესათვის. შემუშავებულია კონკრეტული საიუბილეო გეგმები, რომლებშიც, საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების შემდგომი გაფართოების ღონისძიებებთან ერთად, გათვალისწინებულია ქალაქებისა და სოფლების კეთილმოწყობასთან, კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობასთან დაკავშირებული მთელი რიგი საკითხები.

აჭარის მშრომელები ძალღონეს არ იშურებენ საოქტომბრო ვალდებულებათა შესრულებისათვის, წარმატებით ახორციელებენ სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებს. მშრომელთა ახალი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობა გამოიწვია ავტონომიური რესპუბლიკის დაჯილდოებამ ლენინის ორდენით.

სამრეწველო საწარმოებმა პროდუქციის გამოშვების ნახევარი წლის გეგმა 104,2 პროცენტით შეასრულეს. გეგმის დამატებით გამოშვებულია 3.475 ათასი მანეთის პროდუქცია. წარმატებით სრულდება შრომის ნაყოფიერების ზრდის, პროდუქციის თვითღირებულების შემცირების დავალებანი. კარგი მაჩვენებლები მოიპოვეს ნავთობგადამამუშავებელი, მანქანათსამშენებლო, გემთსამშენებლო, ელექტრომექანიკური, კოფეინის ქარხნების, სამკერვალო, ფეხსაცმლის, საკონდიტრო ფაბრიკების, ხისდამუშავებელი კომბინატისა და სხვა საწარმოთა კოლექტივებმა. თავდადებით შრომობენ რკინიგზისა და სავატომობილო ტრანსპორტის მუშაკები, წარმატებით ასრულებენ აია მარტო გეგმებს, არამედ ნაკისრ ვალდებულებებსაც.

რესპუბლიკის წარმატებებში დიდი წვლილი შეაქვთ სოფლის მეურნეობის მშრომელებს. კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულეს სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის ექვსი თვის გეგმა. სეზონის დამდეგიდან მოკრეფილია და სახელმწიფოს ჩაბარდა 27.480 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, რაც წლიური გეგმის 84.5 პროცენტს შეადგენს. ზუსტად აგროტექნიკურ ვადებში მიმდინარეობს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები ციტრუსების, თამბაქოსა და ტუნგოს პლანტაციებში, ვენახებში.

სისტემატურად, მიზანდასახულად აწარმოებენ პარტიული ორგანიზაციები პროპაგანდისტულ და მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობას, ღრმად დაყოველმხრივ განუმარტავენ მშრომელებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისებს „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წელი“, ჩვენს ქვეყანაში მომხდარ დიდ სოციალურ-ეკონომიურ, პოლიტიკურ და კულტურულ გარდაქმნებს. იყენებენ მასებთან მუშაობის სხვადასხვა ფორმასა და საშუალებას — ლექციებს, საუბრებს, თეორიულ კონფერენციებს, თემატურ საღამოებს, შეხვედრებს რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის ვეტერანებთან, სამოქალაქო ომისა და დიდი სამამულო ომის მონაწილეებთან, ლაშქრობებსა და ექსკურსიებს ღირსშესანიშნავ ადგილებში. პარტიული კომიტეტებისა და საზოგადოება „ცოდნის“ ადგილობრივ ორგანიზაციათა ლექტორებმა მიმდინარე წლის ექვს თვეში 9 ათასზე მეტი ლექცია წაიკითხეს.

მაღალ იდეურ-თეორიულ დონეზე მოაწყო კომკავშირის აჭარის საოლქო კომიტეტმა ინტერნაციონალური მეგობრობის კვირეული, რომელშიც მონაწილეობდნენ ადგილობრივი მოსახლეობის მრავალი ეროვნებისა და დამსვენებელთა წარმომადგენლები.

აქტიურად მონაწილეობენ იუბილესათვის მზადებაში კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი. წარმატებით ჩაიარა რესპუბლიკაში მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივების ფესტივალმა, რომელიც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავს მიეძღვნა.

ბევრ საინტერესო ღონისძიებას ახორციელებენ აჭარის შემოქმედებითი და სამეცნიერო დაწესებულებანი. უკვე გაიმართა თეორიული კონფერენციები თემებზე: „ხალხთა მეგობრობა ოქტომბრის რევოლუციის დიდი მონაპოვარია“, „ლიტერატურა და ხელოვნება ხალხს ეკუთვნის“, „კომუნიზმი კაცობრიობის ნათელი მომავალია“. მოეწყო მთელი რიგი სამეცნიერო სესიები. გამოსაცემად მზადდება რამდენიმე წიგნი, რომლებიც ასახავენ აჭარის ასსრ ეკონომიკისა და კულტურის მიღწევებს საბჭოთა ხელისუფლების წლებში.

ამასთანავე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავს, რომ მუშაობაში, რომელსაც აჭარის პარტიული ორგანიზაციები ეწევიან ოქტომბრის 50 წლისთავისათვის მზადების საქმეში, არის ცალკეული ნაკლოვანებებიც.

ყველა საწარმო როდი ასრულებს დავალებებსა და ნაკისრ ვალდებულებებს, ნელა მიმდინარეობს ბათუმის საკოლმეურნეო ბაზრის, ქობულეთის კულტურის სახლისა და საიუბილეო ვალდებულებებით გათვალისწინებული მთელი რიგი სხვა ობიექტების მშენებლობა. ნაკლებად კითხულობენ საბჭოთა სახელმწიფოს განვითარების სხვადასხვა ეტაპების ამსახველ ლექციებს. ბევრ მთის სოფელში სუსტად წარმოებს კულტურულ-მასობრივი მუშაობა.

მიღებულ დადგენილებაში პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტს, საქალაქო კომიტეტს, რაიკომებსა და პირველადს პარტორგანიზაციებს წინადადება მიეცათ კიდევ უფრო გააძლიერონ მზადება სახელოვანი თარიღისათვის. მთელი პროპაგანდისტული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა ისე უნდა წარვმართოთო, რომ მშრომელებს განვუმარტოთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისები „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წელი“. ლექციებთან, მოხსენებებთან, საუბრებთან ერთად თეზისების პროპაგანდაში რეკომენდებულია უფრო ფართოდ გამოიყენონ მასებთან მუშაობის ისეთი ფორმებიც, როგორიც არის „საოქტომბრო კითხვა“, რევოლუციური და შრომითი დიდების საღამოები, რევოლუციის ვეტერანთა გამოსვლები უშუალოდ საამქროებსა და ბრიგადებში, სამშენებლო მოედნებზე და საკოლმეურნეო მინდვრებში.

ყოველდღიური ორგანიზატორული და აღმზრდელობითი მუშაობით ხელი უნდა შევუწყოთ თვითეული კოლექტივის ბრძოლას სახელოვანი წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისათვის.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დავუთმოთ ახალგაზრდობის აღზრდას სახელოვანი რევოლუციური და შრომითი ტრადიციების, სოციალისტური პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, კომუნისტური მორალის მაღალი პრინციპების სულისკვეთებით.

საოლქო და რაიონული გაზეთების რედაქციებს, რადიომაუწყებლობის კომიტეტს წინადადება მიეცათ უფრო ხშირად გამოქვეყნონ და გადასცენ თეორიული და პუბლიცისტური სტატიები, ნარკვევები, მოგონებანი და სხვა მასალები, რომლებიც ასახავენ პარტიისა და ხალხის, რესპუბლიკის მშრომელთა მიერ საბჭოთა ხელისუფლების წლებში განვლილ გმირულ გზას, კიდევ უფრო ფართოდ გააშუქონ მუშების, კოლმეურნეებისა და ინტელიგენციის შრომითი წარმატებანი, რომლებიც მოიპოვეს საყოველთაო-სახალხო შეჯიბრებაში დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის. (საქდესი).

საიუბილეო ვახტზე

შრომითი ნოგათები

დავალების გადამეტებით

ქუთაისი. (საკ. კორ.). სატრაქტორო ქარხნის კოლექტივმა გადაჭარბებით შეასრულა პროდუქციის გამოშვებისა და მისი რეალიზაციის საიუბილეო წლის შვიდი თვის დავალება. სოფლის მშრომელებს გეგმის გადამეტებით გაეგზავნათ 100 ათასი მანეთის პროდუქცია, მათ შორის მცერეგაბარიტიანი ტრაქტორები, მისაბმელი იარაღ-მანქანები და სამოთ გუთნები. განვლილ პერიოდში ქარხანამ 20 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება მიიღო.

საიუბილეო ვალდებულებათა შესრულებაში ყველას უსწრებენ თერმული და მე-3 მექანიკური უბნის კოლექტივები. რომლებსაც ს. ვალიევი და ვ. ძნელაძე უძღვიან.

პირველი პროდუქცია — მომხმარებელს

დუშეთის სამრეწველო კომბინატის კერამიკულმა საამქრომ თავისი პირველი პროდუქცია მიაწოდა მომხმარებელს.

მნახველის თვალს ახარებს ლამაზად მოხატული დოქები, სურები, ფიალები და სხვა სახის კერამიკული ჭურჭელი. ეს საამქროს უფროსის — მხატვარ ი. კერვალიძის და მისი თანამოსაქმეების ნ. კაკაბაურის, ფ. ჭონქაძის, ნ. ინაშვილის, ს. ლაზვიაშვილის ნაზელავია.

მალე რაიონის მშრომელები ადგილობრივი წარმოების ხის კასრებს და მავთულს ბადეებსაც მიიღებენ.

ლ. ხოსროშვილი.

საიუბილეო ვახტზე დგას ქუთაისის კიროვის სახელობის № 4 სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივი. მან გადაჭარბებით შეასრულა 7 თვის გეგმა, 6,5 პროცენტით გაზარდა შრომის ნაყოფიერება. საიუბილეო წელს ფაბრიკის კოლექტივი ასი ათასი მანეთის ღირებულების ახალი ქიმიური ბოჭკოს, „ნეიტრონის“ ნაწარმს გამოუშვებს.

ფაბრიკაში ამჟამად 8 კომუნისტური შრომის ბრიგადაა, რომელშიც 290 მუშაა გაერთიანებული. აქედან 265 მათგანი კომუნისტური შრომის დამკვრელის სპატიო წოდებას ატარებს.

ამ სურათზე თქვენ ხედავთ ფაბრიკის მოწინავე ახალგაზრდებს (მარცხნიდან მარჯვნივ) — გ. ჩინჩალაძეს, ც. მახათაძეს, ნ. ბრეგაძეს, ლ. ბოჭორიშვილს, ლ. ლაკლაკიშვილს, რ. ვაშაყმაძეს, რომლებიც თავდადებით შრომობენ საიუბილეო წელს.

ფოტო ა. ჩარკვიანისა.

ხარისხოვანი ჩაის ფოთლის დამზადების გეგმის შესრულება

1967 წლის 15 აგვისტოსათვის (ტონობით)

	გეგმა 1967 წლის		შესრულება		გეგმის შესრულების პროცენტი	
		აგვისტოს	სეზონის დამდეგიდან	აგვისტოს	წლიურის	აგვისტოს
აფხაზეთის ასსრ	33695	6740	30729	2288	91,2	33,9
გალის	17925	3588	16364	1232	91,3	34,4
ოჩამჩირის	11055	2214	10141	698	91,7	31,3
გუდაუთის	3300	660	2853	266	86,5	40,3
გულრიფშის	1118	224	1095	77	97,9	34,4
სოხუმის	297	59	276	20	92,9	33,9
აჭარის ასსრ	32530	6506	28335	1307	87,1	20,1
ქობულეთის	23562	4712	20133	962	85,4	20,4
ბათუმის	8518	1704	7822	326	91,8	19,1
ქედის	450	90	380	19	84,4	21,1
მახარაძის	38120	7620	32724	1880	85,8	24,7
ზუგდიდის	25785	5160	22015	1269	85,4	24,6
წალენჯიხის	12120	2430	11049	573	91,2	23,6
ლანჩხუთის	10680	2140	9383	453	87,9	21,2
გეგეჭკორის	9350	1865	7971	396	85,3	21,2
ჩხოროწყუს	8450	1690	7126	325	84,3	19,2
ჩოხატაურის	5780	1155	4978	291	96,1	25,2
ტყიბულის საქალაქო საბჭო	4410	880	4060	99	92,1	11,3
წყალტუბოს	4400	880	4790	228	108,9	25,9
წულუკიძის	4300	860	3839	244	89,3	28,4
ცხაკაიას	4065	813	4152	284	102,1	34,9
ხობის	3670	730	3410	236	92,9	32,3
სამტრედიის	1270	254	1062	64	83,6	25,2
აბაშის	470	94	522	25	111,1	26,6
თერჯოლის	380	77	448	32	117,9	41,6
ჰიათურის საქალაქო საბჭო	330	66	434	46	131,5	69,7
ვანის	150	30	140	6	93,3	20,0
ზესტაფონის	45	10	66	3	146,7	30,0
სულ	200000	40000	177233	10049	88,6	25,2
მათ შორის ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საბჭოთა მეურნეობების ტრესტი	37800	7489	32950	2080	88,3	27,8
იყო 1966 წლის 15 აგვისტოსათვის	195000	42900	198748	17344	101,9	40,4

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო.

ამხანაგო მეჩაიეებო!

სამშობლო ელის თქვენგან 210.000 ტონა ხარისხოვან ჩაის ფოთოლს მოელის.

უკვე მოკრეფილია 177.233 ტონა. ვალდებულების განაღლებამდე დარჩა 32.767 ტონა.

ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით შესრულება — ეს თქვენი სახელისა და ღირსების საქმეა!

მეტალურგთა თათბირი ქრემლში

მოსკოვში კრემლის დიდ სასახლეში 17 აგვისტოს გაიხსნა მეტალურგთა სრულიად საკავშირო თათბირი, განიხილავენ ამოცანებს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებასთან დაკავშირებით „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1966-1970 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ სკკპ XXIII ყრილობის დირექტივების შესაბამისად შავი მეტალურგიის განვითარების სწრაფი ტემპის უზრუნველყოფის ღონისძიებანი“.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ს. სოლომენცევი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ნ. კ. ბაიბაკოვი, ი. ტ. ნოვიკოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპარატის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, სამინისტროებისა და უწყებების პასუხისმგებელი მუშაკები, საწარმოთა წარმომადგენლები.

მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის შავი მეტალურგიის მინისტრმა ი. პ. კაზანცევმა.

მეტალურგთა მილიონნახევრიანი არმიის სახელით მინისტრმა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს და საბჭოთა მთავრობას აღუთქვა, რომ შავი მეტალურგიის მუშაკები, რომლებმაც გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის აღსანიშნავად, ღირსეულ წვლილს შეტანენ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში.

ინდოეთის დამოუკიდებლობის 20 წლისთავი

საზეიმო სალამო მოსკოვში

16 აგვისტოს საბჭოთა საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს საზეიმო სალამოში, რომელიც გაიმართა მეგობრობის სახლში ინდოეთის დამოუკიდებლობის 20 წლისთავთან დაკავშირებით.

საბჭოთა კავშირ-ინდოეთის კულტურული ურთიერთობის საზოგადოების პრეზიდენტმა აკადემიკოსმა ნ. ვ. ციცინმა შესავალ სიტყვაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა და ინდოელი ხალხები აახლოებენ საერთო მიზნებს მშვიდობიანობისათვის, კოლონიალიზმისა და ნეოკოლონიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

მოხსენება გააკეთა საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტმა, სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა ბ. ვ. პეტროვსკიმ.

საღამოს მონაწილეები გულთბილად შეხვდნენ ინდოეთის რესპუბლიკის მოსკოველი ელჩის ქე



ინტერვენტები მარცხდებიან

ჯენინი, 17 აგვისტო. (საკ-დესი). სამხრეთვიეტნამელმა პატრიოტებმა საიგონის მახლობლად ჩაფუშეს ამერიკის 25-ე ქვეითი ჯარის დივიზიის ქვეგანაყოფთა და ამერიკის შეერთებული შტატების სატელიტთა ჯარების სადამსჯელო ოპერაცია.

დამსჯელებთან ბრძოლების დროს 3-დან 8 აგვისტომდე ჰოკმონისა და გოვანის რაიონებში, საიგონის მახლობლად, განთავისუფლების არმიის მებრძოლებმა დახოცეს მოწინააღმდეგის 560 ჯარისკაცი, მათ შორის 474 ამერიკელი. ოპერაციის ხელმძღვანელი ამერიკული. ბრიგადის გენერალი დაჭრილია. ამ ხნის მანძილზე პატრიოტებმა ჩამოაგდეს 20 ამერიკული ვერტმფრინავი და ვერტმფრინავი, ჩაძირეს ხუთი პატარა გემი და ხელთ იგდეს დიდძალი იარაღი.

ბარბაროსულ დაბომბვათა, ნაპალმის გამოყენების, წამებისა და ხვრეტის მიუხედავად, ამერიკელი იმპერიალისტები ვერ გატეხენ სამხრეთვიეტნამელ მებრძოლთა წინააღმდეგობას. ტყვედ ჩავარდნილ პარტიზანებს მამაცურად და მტკიცედ უჭირავთ თავი. აგრესორების ყველა ცდა — მიიღონ ტყვე პატრიოტებისაგან ცნობები პარტიზანული რაზმების შესახებ — მარცხს განიცდის.

სურათზე: ამერიკელი ჯარისკაცები აწამებენ სამხრეთვიეტნამელ ტყვე პატრიოტს.

ფოტო „ტემპო“—აას-ისა.

ჰ. ი. ბელიაევი — ულან-ბატორში

ულან-ბატორი, 17 აგვისტო. (საკდესი). დღეს სსრ კავშირის მფრინავი კოსმონავტი ჰ. ი. ბელიაევი ჩამოვიდა ულან-ბატორში სასაზღვრო დაბა ხუნდიდან (ჩრდილოეთი მონღოლეთი), სადაც იგი მონაწილეობს მონღოლი და საბჭოთა ახალგაზრდობის მეგობრობის ფესტივალში. როგორც საპატიო სტუმარი. მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის მოწვეულთ საბჭოთა კოსმონავტი სამ დღეს დაჰყოფს მონღოლეთის დედაქალაქში.

როგორც მონიკამეს სააგენტო იუწყება, ულან-ბატორის აეროდრომზე კოსმოსური ხომალდის „ვოსხოდ-2“-ის მეთაურს საზეიმო შეხვედრა მოუწყეს.

პრეზიდენტ ჯონსონის განცხადება

ვაშინგტონი, 17 აგვისტო. (საკდესი). გუშინ პრეზიდენტი ჯონსონი ამერიკის საზოგადოებრიობას არწმუნებდა, თითქოს ამერიკის შეერთებული შტატების ვიეტნამის ომის მიზანი ის იყოს, რომ სამხრეთვიეტნამელებს შესაძლებლობა მისცენ „თავიანთ ლიდერებად აირჩიონ ისინი, ვინც მათ უნდათ“. პრეზიდენტმა სიტყვა წარმოთქვა თეთრ სახლში სამხრეთ ვიეტნამში მოქმედი ამერიკის სამოქალაქო სამსახურების მოხელეთა დაჯილდოვების ცერემონიაზე. იგი ამტკიცებდა, რომ სეტყმბრისათვის დანიშნული არჩევნები, რაც სამხრეთ ვიეტნამში უნდა გაიმართოს, იქნება „თავისუფალი და პატიოსანი“.

პრეზიდენტის გამოსვლა აშკარად პასუხი იყო იმ ამერიკელი სენატორებისადმი, რომლებიც ამ ბოლო დღეებში არა ერთხელ აცხადებდნენ, სამხრეთ ვიეტნამში არ შეიძლება არავითარი „თავისუფალი არჩევნებიო“. ჯონსონმა თქვა, რომ მას საიგონის „სახელმწიფოს მეთაურმა“ თხოეთ და „პრემიერმა“ კიმ „საქვეყნოდ აღუთქვეს“, რომ დაეთანხმებიან „პატიოსანი არჩევნების შედეგებს, ვინც უნდა გაიმარჯვოს“.

დღის წესრიგში კვლავ ადენია

ლონდონი, 17 აგვისტო, (საკდესი). ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი იუწყება, რომ უფლებამოსილი მინისტრი ლორდი შეკლტონი მიფრინავს უენევაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადენის საქმეთა მისიასთან მოლაპარაკებისათვის.

ლიდი ბრიტანეთის კომპარტიის XXX ყრილობის აღსანიშნავად

ლონდონი, 16 აგვისტო. (საკდესი). დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის აღმასკომმა კომპარტიის ორგანიზაციებს დღეს გაუგზავნა დიდი ბრიტანეთის კომპარტიის XXX ყრილობის გამოქვეყნებული დოკუმენტები, რომელიც გაიმართება 25-28 ნოემბერს ლონდონში.

ყრილობისადმი დიდი ბრიტანეთის კომპარტიის აღმასრულებელი კომიტეტის მოხსენებაში აღნიშნულია, რომ ამჟამად ხელისუფლების სათავეში მყოფმა ლეიბორისტულმა მთავრობამ ვერ გაამართლა მშრომელთა იმედები, არა, რადგან მისი პოლიტიკის მიზანია არა ხალხის ინტერესების, არამედ მონოპოლიების ინტერესების დაცვა.

საერთაშორისო მდგომარეობისადმი მიძღვნილ თავში ნათქვამია, რომ „რეაქციის ძალთა ზრდა დასავლეთ გერმანიასა და საბერძნეთში, სამხედრო გადატრიალებანი აფრიკის ბევრ ქვეყანაში, რასისტული, რეაქციული რეჟიმების შენარჩუნება სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკასა და როდეზიაში მოწმობს, რომ ძლიერდება იმპერიალისტური პოლიტიკის დაცვისა და წაქეზების საფრთხე. ახლო აღმოსავლეთის კრიზისი განსაკუთრებული ძალით ცხადყოფს იმპერიალიზმის სასოწარკვეთილ ცდებს შეინარჩუნოს თავისი პოზიციები“.

ბრძოლის გაძლიერების, ერთობის განმტკიცების პრობლემები სოციალიზმის გზით ინგლისის განვითარების პირობების შექმნის მიზნით დაწვრილებითაა გაშუქებული და გაანალიზებული პროგრამის პროექტში „ბრიტანეთის გზა სოციალიზმისაკენ“, რომელიც ახლა წარადგინეს განსახილველად დიდი ბრიტანეთის კომპარტიის ყველა ორგანიზაციაში, შემდეგ კი წარუდგენენ დიდი ბრიტანეთის კომპარტიის XXX ყრილობის დელეგატებს. პროექტი ინგლისის კომუნისტების მოქმედებისა და ბრძოლის დამატებითი გაფართოებული პროგრამაა ამ ქვეყანაში და მთელ მსოფლიოში შექმნილი ახალი ვითარების შესაბამისად, იმ ახალი ამოცანების შესაბამისად, რომლებიც ცხოვრებამ დაუსახა ინგლისის მუშათა მოძრაობას. სოციალიზმის გამარჯვება უზრუნველყოფილი იქნება მხოლოდ ყველა სოციალისტური და დემოკრატიული ორგანიზაციის ერთობლივი მოქმედების გზით, ნათქვამია პროგრამის პროექტში. კომუნისტურმა პარტიამ უნდა შეასრულოს ამ საქმეში უაღრესად დიდმნიშვნელოვანი როლი.

დიდი ბრიტანეთის კომპარტიის XXX ყრილობის რეზოლუციათა პროექტები შეიცავს მოთხოვნას უარი თქვან ანტიმუშურ პოლიტიკაზე, რომელსაც ახორციელებს ახლანდელი ლეიბორისტული მთავრობა, მოლიანად გადასინჯონ ბრიტანეთის საგარეო პოლიტიკა იმ მიზნით, რომ „უარი თქვან აგრესიულ ბლოკებში მონაწილეობაზე და რომ შეიქმნას ევროპაში კოლექტიური უშიშროების ერთიანი სისტემა, უარი თქვან ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიის მხარდაჭერაზე, უარი თქვან პოლიტიკაზე „სუეცის აღმოსავლეთით“.

რეზოლუციების პროექტებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთობის განმტკიცების საკითხს.

ბანდიტთა მეთაური თავხედობს

ბრაზავილი, 17 აგვისტო. (საკდესი). თეთრკანიან დაქირავებულთა და ყოფილ კატანელელ ჟანდარმთა ბანდამ, რომელიც აღმოსავლეთ კონგოს ქალაქ ბუკავუში გამაგრდა, ულტიმატიური ფორმით მოსთხოვა მეზობელ ბურუნდის სახელმწიფოს უარი თქვას პრეზიდენტ მობუტუს მთავრობის მხარდაჭერაზე.

ბუკავუს რადიოთი გაკეთებულ განცხადებაში ბანდიტთა მეთაური ბელგელი შრამი ბურუნდის დედაქალაქ ბუჯუმბურს დაემუქრა, რომ შეუწყვეტს ელექტროენერგიის მიწოდებას (ბუჯუმბურა ელექტროენერგიით მარაგდება ბუკავუდან. რედ. შენიშვნა). შრამმა განაცხადა ავრეთვე, რომ „განახორციელებს უფრო სერიოზულ ღონისძიებებს“, შესაძლოა „უშუალოდ შეიჭრას „ბურუნდის ტერიტორიაზე.

ბუჯუმბურიდან მიღებული ცნობებით ბურუნდის მთავრობამ ამ შანტაჟის საპასუხოდ განახორციელა გამაფრთხილებელი ღონისძიებანი დედაქალაქის აეროპორტში და კინშასის კონგოს საზღვარზე.

ასეთივე თავხედური ულტიმატუმი წაუყენა შრამმა კონგოს მთავრობას. თუ მობუტუს მთავრობა უარს იტყვის დაქირავებულებთან მოლაპარაკებაზე, განაცხადა შრამმა, მას შეეცალან ეგრეთ წოდებული „საზოგადოებრივი ხსნის მთავრობით“, რომელიც წინა კვირას შექმნა ჩომბეს ერთ-ერთმა უახლოესმა თანამშრომელ პოლკოვნიკმა ლ. მუნგამ.

ბონის ლიდერის ოცნება

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერის გამოსვლა

ვაშინგტონი, 17 აგვისტო. (საკდესი). გუშინ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერმა კიზინგერმა ამერიკის მთავრობას აღუთქვა, რომ დასავლეთ გერმანიის არმიის რეორგანიზაციის დასასრული ღონისძიებანი არა თუ გამოიწვევენ მის შესუსტებას, არამედ, ბრიტანეთ, „გააძლიერებენ ბუნდესვერს“. კანცლერი კიზინგერი გამოვიდა პრესის ეროვნულ კლუბში და აღნიშნა, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სამხედრო მიუღებელია ბონის ფედერაციული რესპუბლიკის „ახალი“ აღმოსავლეთევროპული პოლიტიკის შესახებ ბონის ლიდერები ცდილობენ ვაიღწიონ ნატოს ყოველნაირად გაძლიერებას. მეორე, ბონი აპირებს კიდევ უფრო გააფართოოს თავისი ზეგავლენა ნატოს შიგნით და გაბატონებული მდგომარეობა დაიკავოს დასავლეთ ევროპაში. ამ მხრივ მეტად ნიშანდობლივია კიზინგერის პასუხი პრესის ეროვნულ კლუბში კორესპონდენტის შეკითხვაზე. გაგზავნის თუ არა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა თავის ჯარებს სამხრეთ ვიეტნამში. „არა, — განაცხადა კიზინგერმა, — რადგან ჩვენ გვაქვს საკუთარი რაიონი, რომელზეც პასუხს ვაგებთ“.

ამასთან დაკავშირებით მან აგრეთვე ხაზი გაუსვა, რომ ბონის საგარეო პოლიტიკის მიზანი ეკავშირდებოდა ევროპული ეკონომიური და პოლიტიკური „ერთობა“ დასავლეთ ევროპაში. კიზინგერმა გასაგებად თქვა, რომ ბონი ოცნებობს პირველი ვიოლინის როლი შესასრულოს ამ „ერთობაში“.

ბონის ლიდერმა თავი აარიდა პირდაპირ პასუხს შეკითხვაზე, ხელს მოაწერს თუ არა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა ატომური იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულებას, რომლის პროექტს ახლა ამუშავებს ეუნეიკის განიარაღების კომიტეტი. კიზინგერს აშკარად არ გაუსაშენია ხელშეკრულების იდეის წინააღმდეგ, მაგრამ მიუხედავად ამისა გამოთქვა სხვადასხვაგვარი შენიშვნები, რომლებიც ცხადყოფენ, რომ ბონს ფაქტიურად უჭირავს ნეგატიური პოზიცია ატომური იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულების მიმართ.

ბუნდესვერი კვლავინდებურად ოცნებობს ატომურ ბომბებზე, თუმცა კიზინგერი ამტკიცებდა, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა არ აპირებს აწარმოოს ატომური იარაღი ან ფლობდეს მას.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერმა მხარი დაუჭირა „საერთო ბაზარში“ ინგლისის მიღებას.

მდგომარეობა ნიგერიაში

ლაგოსი, 17 აგვისტო. (საკდესი). კადუნაში (ჩრდილოეთი ნიგერია) ოდესღაც ბანდიტად ნაცნობია, რომ ადგილობრივ ბანდიტებმა მოქმედება ფედერალური სამხედრო მთავრობის ჯარებმა ხელთ იგდეს აღმოსავლეთ ნიგერიის ნაწილის „კიდევ ერთი გამაგრებული პუნქტი“ — ქალაქი ეკამი და წინ მიიწევენ სამრეწველო ქალაქ ნკალაგუს მიმართულებით. ქალაქი ნსუკა მდებარეობს აღმოსავლეთი ნიგერიის ჩრდილოეთით, რომელმაც ბიაფრის რესპუბლიკად გამოაცხადა თავი. რადიოგადაცემაში აგრეთვე ნათქვამია, რომ ფედერალური მთავრობის თვითმფრინავები კვლავ თავს დასხმიან აღმოსავლეთ ნიგერიის პროვინციულ ცენტრს ქალაქ ენუგუს. თავდასხმის შედეგად დაიწვა ელექტრონსადგური.

როგორც ნიგერიის ჩრდილო-დასავლეთი შტატიდან მოსული ცნობები მოწმობენ, ფედერალური ჯარები განაგრძობენ წინსვლას შტატის დედაქალაქ ბენინისაკენ, რომელსაც ჯერ კიდევ აღმოსავლეთ ნიგერიის არმიის ჯარის ნაწილები ინარჩუნებენ.

იორუბის ტომის ლიდერმა, ფედერალურ მთავრობის ფინანსთა საკითხების კომისარმა ობაფემი ავოლოვომ თავის ტომის წევრებს მოუწოდა „ხელი მოკიდონ იარაღს და იცავნენ მშაღ იორუბის სამშობლოს — ნიგერიის დასავლეთი შტატის დასაცავად“. ავოლოვომ განაცხადა, რომ დასავლეთ შტატს აღმოსავლეთ ნიგერიის ჯარების „შეჭრის რეალური საფრთხე მოელის“.

როგორც რეიტერის საააგენტოს ლაგოსელ კორესპონდენტი იუწყება, ნიგერიის ფედერალური სამხედრო მთავრობის ჯარებმა დაბოცეს 100 აღმოსავლეთნიგერიელი ჯარისკაცი სოფელ ოფუსუს რაიონში (ჩრდილო-დასავლეთი შტატი). რომელიც ლაგოსიდან 290 კილომეტრზე მდებარეობს.

სექტემბერში რეფერენდუმია

ლონდონი, 17 აგვისტო. (საკდესი). 10 სექტემბერს გიბრალტარის 12 ათასი მცხოვრები ჰაიღის მონაწილეობას რეფერენდუმში, რომლის დროს გადაწყვეტენ საკითხი, შეინარჩუნონ თუ გაწყვეტონ ურთიერთობა დიდ ბრიტანეთთან. შემდეგ ამ ტერიტორიის მომავლის საკითხი გადაწყდება ინგლისისა და გიბრალტარის წარმომადგენელთა მოლაპარაკებაზე. ეს განაცხადა გუშინ პრეს-კონფერენციაზე გიბრალტარის მთავარმა მინისტრმა ჯოშუა პასანმა.

ვერ იპოვეს

ფეთქებადი ნივთიერებით დატვირთული ხომალდი

ნიუ-იორკი, 17 აგვისტო. (საკდესი). ჯერ კიდევ ვერ უპოვიათ ორიათასი ტონა ფეთქებადი ნივთიერებით დატვირთული ამერიკის ტანსპორტი, რომელიც ალასკის ხაპირებთან დაიკარგა. „ლიბერტის“ ტიპის ეს ტრანსპორტი, რომელსაც ერქვა „რობერტ სტივენსონი“ უნდა აეფეთქებინათ წყალქვეშ მიწისქვეშა ატომური აფეთქებების აღმოსაჩენი სადგურების სრულყოფის ამერიკული პროგრამით, როცა ყველა ინსტრუმენტი გახსნილ ხომალდი დიდხანს ტივტივებდა წყალზე. შემდეგ ნისლში დაიკარგა. ვარაუდობენ, რომ ტრანსპორტი ჩაიძირა თავთავზე. წყალში და ასაფეთქებლები, რომლებიც დიდ სიღრმეზე იყო გათვალისწინებულნი, არ ამოშავდნენ. საზღვაო ავიაციის თვითმფრინავები ეძებენ ტრანსპორტს. თვითმფრინავებმა დიდძალი სიღრმის ბომბები ჩამოაგდეს ხომალდის სავარაუდო ჩაძირვის რაიონში, რათა აეფეთქებინათ საშიში ტვირთი, მაგრამ ცდა წარუმატებლად დამთავრდა.

„რობერტ სტივენსონი“, რომელიც დაყოვნებული მოქმედების საშიშ ბომბად გადაიქცა, კვლავ საღდაც ზღვის ფსკერზე ძევს ამჩრტის კუნძულის რაიონში ალეუტის კუნძულების ქედთან, და ყველა ხომალდი საჭიროდ თვლის შემოუაროს ამ რაიონს.

ბუმინდელი ფოსტიდან

◆ ოქტომბრის 50 წლისთავთან დაკავშირებით კალინინგრადის ფილარმონიის ახალგაზრდული საესტრადო ბრიგადა მოგზაურობს საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში. ამ დღეებში ბრიგადა ესტუმრა საჩხერეს. კულტურის სახლში მაყურებლებმა ნახეს საინტერესო კონცერტი — „ვისაც უყვარს სიმღერები, ხუმრობა და სიცილი“.

ა. კაპანაძე.

◆ ბორი. შინდისში გაიმართა სოფლის მშრომელთა ყრილობა, რომელიც გახსნა სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ზ. ჯოჯიშვილმა. დღის წესრიგში იყო ერთი საკითხი: სოფლის მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების მდგომარეობისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ. ამ საკითხზე მოხსენებებით გამოვიდნენ რაიონის კულტურის განყოფილების გამგე ივ. მაკრახიძე, საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს უფროსი პ. კალმახელიძე, რაიონის ცენტრალური საავადმყოფოს მთავარი ექიმი ო. კორინთელი და რაიკოოპკავშირის გამგეობის თავმჯდომარე დ. ოქუაშვილი.

გ. მუკიდობაძე.

◆ ოჩამჩირე. რაიონის ცენტრალური აფთიაქი შეუდგა სამკურნალო მცენარეთა შეგროვება-დამზადებას. წელს რაიონის აფთიაქების თანამშრომლები შეაგროვებენ 6 ტონა ეკალიპტის ფოთოლსა და ღეროს, 600 კილოგრამ ასკილს, აგრეთვე მოცვს და სხვა სამკურნალო მცენარეებს.

მ. ჯოჯუა.

◆ მაიაკოვსკი. რაიონის მშრომელებს საოქტომბროდ კარგი საჩუქარი მოუმზადეს მშენებლებმა. ამ დღეებში საექსპლოატაციოდ გადაეცა ადმინისტრაციული სახლის სამსართულიანი შენობა.

დაბა მაიაკოვსკში მთავრდება უნივერსალური მაღაზიის, 240 ადგილიანი საავადმყოფოს, პროკურატურისა და სხვა დაწესებულებების შენობათა აგება.

გ. მუკავნაძე.

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

მე-2 გვერდი, პარასკევი, 18 აგვისტო, 1967 წ.

ᲕᲘᲓᲠᲔ ᲗᲔᲡᲕᲐ ᲓᲐᲘᲬᲧᲔᲑᲝᲓᲔᲡ

რასაც დათესავ, იმას მოიმკი

კარგი თესლი უხვი მოსავლის საწინდარია

ახლოვდება მხვნელ-მთესველთათვის მეტად პასუხსაგები სამუშაო — საშემოდგომო თავთავიანი კულტურების თესვა. სხვა აგროტექნიკურ ღონისძიებებთან ერთად მაღალი მოსავლის მისაღებად თესლის ჯიშიანობას და ხარისხს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ცნობილია, რომ დარაიონებული, ჯიშიანი, მაღალხარისხოვანი თესლი რიგითს თესლთან შედარებით 15-50 პროცენტით ადიდებს მოსავლიანობას.

ამ საქმეში მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს ხიღნალის, წითელწყაროს, გურჯაანის, ლაგოდეხის, გარდაბნის, მცხეთის და სხვა რაიონების მშრომელებმა. ისინი ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ კერძოდ სათესლე ნაკვეთებიდან მიღებული მარცვლის გაწმენდა-დახარისხებას. მათ გამოცდილებით იციან, რომ მომდინარე წელს თავთავიანი კულტურების საუკეთესო მოსავალი განაპირობა სწორედ გასული წლის შემოდგომაზე დარაიონებულმა „უფხო-1“-ის, „მოწინავის“ და სხვათა ჯიშების პირველი და მეორე კლასის თესლმა.

ამიტომ გასაკვირველი როდია, რომ ამ და სხვა რაიონების მოწინავე კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა უკვე დაამთავრეს თესლის შესანახი ახალი საწყობების შენებლობა, ძველის დროულად შეკეთება და დეზინფექცია.

შემინდვრეებს ჩვენ გვინდა შევახსენოთ, რომ მაღალხარისხოვან თესლს უნდა ჰქონდეს ჯიშისათვის დამახასიათებელი ფერი, ბზინვა, ჯანსაღი დაუზიანებელი კანი, მარგ ნივთიერებათა საკმარ რაოდენობა და კარგი აღმოცენების ჩანახახი.

კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სათესლე მასალის მიღების ძირითად წყაროს სათესლე ნაკვეთები წარმოადგენენ. მოწინავე კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები კარგ სათესლე მასალის მისაღებად გამოჰყოფენ ფართობს, რომელიც თავისუფალია სარეველებისაგან და რომელზეც საუკეთესო წინამორბედი კულტურა ეთესათ (მაგალითად, მარცვლოვანი პარკოსნები, ნათესი ნაბალახარი და სხვ.).

სათესლე ფონდების გამოყოფის, შენახვისა და გადაზიდვისათვის თესლის ტენიანობა 14 პროცენტს არ უნდა აღემატებოდეს. გალეწვის შემდეგ სათესლე მასალა იმ სახით, როგორც მას ვიღებთ, იშვიათი გამონაკლისის გარდა არ გამოდგება.

მოსავლის გაღიდების ინტერესები მოითხოვს სათესლე მასალის ისეთ დახარისხებას, რომ უზრუნველყოთ ერთნაირი თვისებების მქონე მარცვლის დაჯგუფება. ეს საშუალებას მოგვცემს ვთესოთ მხოლოდ გადარჩეული, მსხვილი და მძიმე თესლი.

მოსავლის აღებისთანავე მარცვალი უნდა გაიწმინდოს მინარევებისაგან. სათესლედ გამოყოფის დროს მარცვალი კიდევ უფრო გულდასმით უნდა გავასუფთაოთ და სტანდარტის მიხედვით დავახარისხოთ.

საშემოდგომო ხორბლის პირველი კლასის თესლი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მაჩვენებლებს: ძირითადი კულტურის თესლი უნდა შეადგენდეს 99 პროცენტს, ბაღისების უნარი უნდა ჰქონდეს არანაკლებ 95 პროცენტისა, ერთ კილოგრამ თესლში სხვა მცენარეთა თესლის რაოდენობა ათ ცალზე მეტი არ უნდა იყოს, მათ შორის სარეველა მცენარის თესლი დასაშვებია არაუმეტეს 5 ცალისა. ასეთივე მაჩვენებლებით უნდა ხასიათდებოდეს საშემოდგომო ქერის თესლი.

პირველი კლასის თესლში არ დაიშვება გუდაფშუტა, ბელლის მავნებლები (ცხვირგრძელა, ტკიპა და სხვ.), აგრეთვე საკარანტინო მცენარის (ამბროზუმა და სხვ.) თესლი.

სათესლე მასალა ყველა მოთხოვნას რომ აკმაყოფილებდეს, საჭიროა გულდასმით გაწმენდა, დახარისხება და შეფასება. გაწმენდის დროს საღ და ვარგის მარცვალს რაც შეიძლება სრულად უნდა მოსცილდეს მთელი ბარჯი—ცოცხალი, მკვდარი მინაყოლი, ბეიტი, დამტვრეული, უვარგისი მარცვალი და სხვ.

კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში უკვე მუშაობს თესლის დამხარისხებელი და სხვა რთული საწმენდი მანქანები: „ვიმ-2“, „ოს-1“, „ოს-3“, „ოს-4.5“. ისინი მუშაობენ ტრაქტორით ან ელექტროძრავით. ეს მანქანები აერთიანებენ თესლის წმენდის ყველა პრინციპს და სწორად დაყენება-რეგულირების შემთხვევაში, კარგად წმენდენ ყოველნაირ მარცვლეულს — ხორბალს, ქერს, ჭვავს, შვრიას, ხოლო „ოს-4,5“ ჩამოთვლილ კულტურების თესლის გარდა პარკოსნებს — ხოიას, ბარდას, ცულისპირას, ცერცველას, ხანჭკოლას და ბალახების თესლს — იონჯას, სამყურას, ესპარცეტს და სხვ.

ერთი კულტურისა და ჯიშის თესლის გაწმენდა-დახარისხების შემდეგ სხვა კულტურის ან ჯიშის თესლის გაწმენდა-დახარისხებაზე გადასვლის წინ საჭიროა მანქანა გულდასმით გაიწმინდოს.

ცალკე ხარისხებად დაყოფილი თესლის გადასატანად უნდა გამოვიყენოთ დეზინფექციაქმნილი ტრანსპორტი და ტომრები. თესლის გაწმენდა-დახარისხების სამუშაოთა სწორი ორგანიზაციით შესაძლებელია მთელი ხათესლე მასალის არა მარტო კონდიციამდე აყვანა, არამედ მისი პირველი და მეორე კლასის ფარგლებში მოქცევაც.

სოკოვან დაავადებათა თავიდან აცილების მიზნით აუცილებელია თესვის წინ თესლის შეწამვლა. შეწამვლა უნდა მოხდეს შხამიანი ნივთიერებებით (ფუნგიციდებით), რომლებიც კლავენ მარცვალზე არხებულ ხოყოების სპორებს და უარყოფითად არ მოქმედებენ თესლის გაღივების უნარსა და სხვა თვისებებზე.

შეწამვლის საშუალებანი: სველი, ნახევარადმშრალი, თერმული და სხვ.

სველი შეწამვლის დროს თესლს ასველებენ სუსტი კონცენტრაციის ხსნარში. მაგალითად, ქერის თესლისათვის ხმარობენ ფორმალინის ხსნარს, რომლის მოსამზადებლადაც 30 ლიტრ წყალს ასხამენ 1 ლიტრ ჩვეულებრივ 40-პროცენტიან ფორმალინს. ასეთი წესით შეწამვლის დროს თესლი ასწრებს წყლის დიდი რაოდენობით შეწოვას და საჭირო ხდება შეწამვლის შემდეგ თესლის გაშრობა. ეს გარემოება, ცხადია, აყოვნებს თესლის დროულად მომზადებას. ნახევრადმშრალი შეწამვლის შემთხვევაში კი თესლი გაშრობას აღარ საჭიროებს.

თესლის შესაწამლავად კარგია გამოვიყენოთ კომბინირებული შხამი მერკურანი, რომელიც ზემოაღნიშნული დაავადებების გარდა მოქმედებს აგრეთვე ისეთ მავნებლებზე, როგორიც არის ბუგრი, მავთული ჭია, მარცვლოვანთა ბუზი და სხვ.

ბზუალასა და სხვა მავნებელთა გავრცელების ადგილებში კარგ შედეგს იძლევა აგრეთვე თესლის 12-პროცენტიანი დუსტით პეტსაქლორანით დამუშავება. ერთ ტონა მარცვალზე საჭიროა 10-20 კილოგრამი პეტსაქლორანი. თესლი უნდა დაითესოს შეწამვლიდან არაუგვიანეს 7-10 დღისა.

გასუფთავებული და ფრაქციებად დაყოფილი თესლი უნდა ჩაიყაროს წინასწარ გულდასმით გაწმენდილ, დეზინფექციაქმნილ ბეღელში და გაუკეთდეს ეტიკეტი — ჯიშის, რეპროდუქციის, თესლის პარტიის, წონისა და თესვის ღირსების მაჩვენებლებით.

ამ ღონისძიებათა მტკიცედ დაცვა უხვი მოსავლის საწინდარია.

გ. დათუაშვილი,
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი.

* * *

ვიდრე თესვა დაიწყებოდეს, შემინდვრეები ნიადაგს ამზადებენ, თესლს იმარაგებენ და კონდიციამდე აკმაყენ. ასეა ქარელის რაიონის მოხისის კოლმეურნეობაშიც. აქ საშემოდგომოდ 1.050 ჰექტარი უნდა მოიხნას. ხვნაზე 7 ტრაქტორი მუშაობს. ტრაქტორისტი გ. ელიავილი მოწინავეა. ხვნის ხარისხს, თესლის ვარგისიანობას ხშირად ამოწმებს აგრონომი ნ. სოლტაშვილი.

სურათზე: ხვნა მოხისის კოლმეურნეობაში. წინა პლანზე — ტრაქტორისტი გ. ელიავილი და აგრონომი ნ. სოლტაშვილი ამოწმებენ ხვნის ხარისხს.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲘᲣᲠᲘᲓᲘᲣᲚᲘ ᲙᲝᲜᲡᲣᲚᲢᲐᲪᲘᲐ

შეგვეკითხეთ, გიპასუხებთ

შეკითხვა: ჩემი მშობლები, ჩემი ძმა და მე სოფელ ზემო ხანდაკში შეკადგენთ ერთ საკოლმეურნეო კომლს. ვარ მოსამსახურე. მსურს გამოვეყო კომლს და ვიცხოვრო ცალკე. სწორია თუ არა სასოფლო საბჭოს მოქმედება, რომელიც არ მაძლევს კომლიდან გამოყოფის უფლებას იმ მოტივით, რომ უცოლშვილო ვარ?

ვ. ხუციშვილი,
კასპის რაიონი.

პასუხი: საკოლმეურნეო კომლის გაყრის მოთხოვნის უფლება აქვთ კომლის სრულწლოვან წევრებს, რომლებიც კოლმეურნეობის წევრებაც არიან. კომლის ქონებიდან წილის გამოყოფის მოთხოვნის უფლება კი აქვს კომლის წევრს, რომელიც 16 წლის ასაკს მიაღწია. რაკი თქვენ გსურთ კომლის შემადგენლობიდან გასვლა, შეგიძლიათ მოითხოვოთ კომლის ქონებიდან წილის გამოყოფა, მიუხედავად თქვენი ოჯახური მდგომარეობისა.

შეკითხვა: ვმუშაობ ქობულეთის პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში ბიბლიოთეკის გამგედ. დაუსწრებლად ვსწავლობ ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში. გასული ზამთრის სესიების დროს ყოფნისული სასწავლო შვებულებით არ მისარგებლია, რადგან იმ პერიოდში ვიმეყოფებოდი შვებულებაში ორსულობის გამო. მიუხედავად ამისა სესიებზე გამოვცხადდი და გამოცდები ჩავაბარე, მეკუთვნის თუ არა გასული დროის სასწავლო შვებულება?

ნ. კოტეელიძე,
ქ. ქობულეთი.

პასუხი: მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებიც წარმოებისაგან მოწყვეტლივ სწავლობენ უმაღლეს სასწავლებლებში, ყოველწლეული სასწავლო შვებულება (ხელფასის შენარჩუნებით) ეძლევათ ჩათვლებისა და საკურსო გამოცდების ჩასაბარებლად სასწავლებლის გამოძახების (ცნობის) საფუძველზე. რასაც დაწესებულებებისა და საწარმოებისათვის სავალდებულო ძალა აქვს, თუ სტუდენტს ჩათვლები და ვამოცდები უკვე ჩაბარებული აქვს, მას ასეთი გამოძახება (ცნობა) და, მაშასადამე, სასწავლო შვებულება არ მიეცემა.

შეკითხვა: ვართ სამი ძმა. დედამ თავის ქონება გვიანდერძა მხოლოდ ორს. მესამე ძმა მოითხოვს წილს სამკვიდრო ქონებიდან. ეკუთვნის თუ არა?

ვ. ხუციშვილი,
კასპის რაიონი.

პასუხი: მოანდერძეს უფლება აქვს მემკვიდრეობა ანდერძით ჩამოართვას ერთს, რამდენიმე ან ყველა კანონისმიერ მემკვიდრეს. თქვენი მესამე ძმა, რომელსაც ანდერძის მიხედვით მემკვიდრეობა არ ეკუთვნის, მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღებს სამკვიდრო ქონებიდან სავალდებულო წილს, თუ იგი არასრულწლოვანი ან არაშრომისუნარიანია.

შეკითხვა: ვმუშაობ ხილის შემფუთავ ქარხანაში გუშაგად. ვიღებ 40 მანეთ ხელფასს. თავისუფალ დღეებში ამავე ქარხანაში ვასრულებ სხვა სამუშაოს, რისთვისაც ვიღებ ცალკე უწყისით მეორე ხელფასს. ჩამთვლება თუ არა ორივე ხელფასი გამომუშავებაში, რომლის მიხედვითაც პენსია იანგარიშება?

ა. შერგელაშვილი,
ლანჩხუთის რაიონი.

პასუხი: სსრკ მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხების სახელმწიფო კომიტეტის 1965 წლის 15 ნოემბრის № 20-2999 წერილის შესაბამისად, ხელფასი, რომელსაც თქვენ იღებთ ქარხანაში დამატებით სამუშაოების შესრულებისათვის, არ შეეკ გამომუშავებაში, რომლის მიხედვითაც პენსია იანგარიშება.

შეკითხვა: 1954 წელს დავამთავრე პედაგოგიური სასწავლებელი. იმავე წელს გამიწვიეს სამხედრო სამსახურში. სამხედრო სამსახურიდან დათხოვნის შემდეგ განუწყვეტლივ ვმუშაობ მასწავლებლად. ჩამეთვლება თუ არა სამხედრო სამსახურის დრო მუშაობის სტაჟში?

ი. მაცუკაშვილი,
ქ. თბილისი.

პასუხი: სსრკ შეიარაღებულ ძალთა შემადგენლობაში სამსახურის დრო თქვენ ჩაგეთვლებათ როგორც საერთო მუშაობის სტაჟში, ისე პედაგოგიური მუშაობის სტაჟშიც.

ჩინელი ხალხის ინჯერესების საფრთხალმდეგოდ

„ვრავდა“
16 აგვისტო

ჩინეთში მეორე წელია გრძელდება ეგრეთწოდებული „დიდი პროლეტარული კულტურული რევოლუცია“. მეორე წელია პეკინში მის „დიდ გამარჯვებათა“ გამო „დიდფდაფებს სცემენ“, როგორც იქ უყვართ თქმა. მაგრამ ამბების მცოდნეებმა ცხადყო, რომ ამ „კულტურული რევოლუციას“, რომელიც, ჩინეთის პრესის განცხადებათა მიხედვით, მაო ძე-დუნმა მოიწყო და პირადად წარმართავს, საერთო არა აქვს რა არც კულტურასთან, არც სოციალისტურ რევოლუციასთან. მას სრულებითაც არ მოუტანია პეკინელი ლიდერებისათვის ის გამარჯვებანი, რომელთა ძმედიც მათ ჰქონდათ. ირაზედ მხოლოდ უაღრესად მძიმე განსაცდელში ჩაგდო ჩინელი ხალხი, საფრთხე შეუქმნა მის სოციალისტურ მონაპოვრებს და უშობდეს ჩინეთს სულ უფრო მზარდ იზოლაციას საერთაშორისო ასპარეზზე.

ახლანდელ ამბებს ჩინეთში, როგორც ცნობილია, წინ უძღოდა ჩინეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობის პოლიტიკური კურსის მკვეთრი შემობრუნება. 50-იანი წლების დამლევს ამ ხელმძღვანელობამ წამოაყენა საგარეო და საშინაო პოლიტიკის განსაკუთრებული კურსი, რომელიც ნიშნავდა მარქსიზმ-ლენინიზმისაგან ჩამოშორებას და ფრმად ეწინააღმდეგებოდა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებს, სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის ძირითად კანონზომიერებებს.

1958 წელს ჩინეთში მაო ძე-დუნის პირადი მითითებით გამოცხადებულ იქნა ყბადაღებული „დიდი ნახტომი“, რომელიც ნიშნავდა ქვეყნის ეკონომიკის განვითარების კანონზომიერ ეტაპებზე გადახტომის, სოციალური ურთიერთობის სფეროში ყაზარმული რეჟიმის დნერგვის ცდას, რეჟიმისა, რომელიც მოწოდებული იყო უზრუნველყოს პირდაპირი გადასვლა იმაზე, რასაც პეკინელი ხელმძღვანელები „კომუნიზმს“ უწოდებდნენ, მაგრამ რაც ნამდვილად შეიძლებოდა ყოფილიყო ნამდვილი კომუნისტური წყობილების მხოლოდ გესლიანი კარიკატურა.

„დიდი ნახტომის“ იდეა გამოცხადებულ იქნა იმ მომენტში, როცა ჩინელმა ხალხმა რვა წლის მანძილზე დიდი მიღწევები მოიპოვა სოციალისტურ მშენებლობაში. საერთაშორისო მუშათა კლასის, სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების დახმარებით, პირველი ხუთწლედის შესრულების შედეგად ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ობიექტური საფუძვლები დაედო ეკონომიკის სწრაფ განვითარებას, მშრომელთა კულტურისა და მატერიალური კეთილდღეობის აღმავლობას. მაო ძე-დუნისა და მის დაახლოებულ პირთა ვოლუნტარისტული გადაწყვეტილებანი რომ არა, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის 1957 წლის შემდეგაც შეეძლო წარმატებით ეკლო წინ სოციალისტური გზით.

მაგრამ მაო ძე-დუნი და მისი დაახლოებული პირნი, რომლებიც უხეშად უგულებელყოფდნენ სოციალიზმის ობიექტურ ეკონომიურ კანონებსა და სხვა სოციალისტური ქვეყნების გამოცდილებას, შეეცადნენ ქვეყნის ეკონომიური ინდუსტრიალიზაცია შეეცვალათ პრიმიტიული, კუსტარული საწარმოების მასობრივი შექმნით და თავშეუკავებელი პროგეტერობით მსხვილი მრეწველების დარგში, ქალაქად და სოფლად ეგრეთწოდებული „კომუნების“ დაწერგვით, რომლებშიც ადამიანები ჯარისკაცებივით იცხოვრებდნენ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და სხვა მოძმე პარტიები, იჩენდნენ რა ზრუნვას სოციალიზმის ბედისათვის ჩინეთში, გულახდილად ეუბნებოდნენ ჩინეთის ხელმძღვანელებს, რომ მეურნეობის სოციალისტური გაძღოლის ლენინური პრინციპებისაგან გადახვევას შეიძლებოდა მხოლოდ დამღუპველი შედეგები მოჰყოლოდა ეკონომიკისათვის. სიფულსსმოა, რომ იმ წლებში ანკერთ სოციალისტურ ქვეყანას არ გაუზიარებია მაო ძე-დუნის რეკომენდაციები სოციალიზმის „ნახტომისებრი“ განვითარების შესახებ. მაგრამ მაო ძე-დუნმა, რომელიც ჩინელ ხალხს „სუფთა ქაღალდის ფურცელს“ ადარებდა, დაიწყო ამ ფურცელზე, როგორც თვითონ ამბობდა, „ლამაზი იეროგლიფების“ გამოყვანა.

პრიმიტიულ-გათანაბრებითს საწყისებზე მუშათა და გლეხთა შრომისა და თვით ცხოვრების ორგანიზაციის სამხედრო-ყაზარმული სისტემის შემოღებამ, რაც უცხოა სოციალიზმისათვის, კატასტროფული შედეგები გამოიწვია. „დიდმა ნახტომმა“ დეზორგანიზაცია შეიტანა ჩინეთის ეკონომიკაში — სარეწველო წარმოების მოცულობა სანახევროდ შემცირდა, სოფლის მეურნეობა დაეცა. ადამიანი შიმშილობა. მილიონობით ადამიანი დაიღუპა. „კომუნიზმზე გადასვლის დაჩქარება“, რასაც პეკინი ფართო რეკლამას უწევდა, არ გამოვიდა. მაშინ „დიდი ნახტომის“ წინათ გამოცხადებული მიზნების სრულიად საწინააღმდეგოდ მაო ძე-დუნმა განაცხადა, რომ ჩინეთში სოციალიზმის მშენებლობა შორეული პერსპექტივის საქმეა, რომ ამისათვის „საჭიროა, არა ათეული წლები, არა ასი, არამედ ასეული წლებიც კი“.

„დიდი ნახტომის“ ჩაფუშვამ ჩინეთში გამოიწვია სერიოზული შინაპოლიტიკური გართულებანი, რომლებსაც მაო ძე-დუნმა და მისმა ჯგუფმა უპასუხეს პარტიის, სახალხო - განმათავისუფლებელ არმიის რიგებისა და ინტელიგენციის წმენდათა სერიით.

დამახასიათებელია, რომ პეკინის ხელმძღვანელობის ანტილენინური კურსი საერთაშორისო ასპარეზზეც გამოვლინდა „დიდ ნახტომთან“ ერთდროულად. 1960 წელს პეკინელი ლიდერები აშკარად გამოვიდნენ საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის გენერალური ხაზის წინააღმდეგ. ამ ხაზს მათ დაუპირდაპირეს თავიანთი პლატფორმა, რომელიც ნიშნავდა მარქსიზმ-ლენინიზმის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებისაგან ჩამოშორებას. გაჩაღდა ოდნენ რა ულტრამემარცხენე ფრაზებს მსოფლიო რევოლუციის დაჩქარების შესახებ, პეკინელი ლიდერები ცდილობდნენ გაეტარებინათ რეციონისტული კონცეპცია მსოფლიო სოციალისტური სისტემის ორგორც მსოფლიო რევოლუციური პროცესის ძირითადი ბაზისა და დასაყრდენის როლის უარყოფისა, კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა კლასის რევოლუციური როლის უარყოფისა, კომუნისტური და მუშათა პარტიების ორგორც მუშათა კლასის მებრძოლი ავანგარდის როლის დაკნინებისა, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის როლის და მნიშვნელობის დამახინჯებისა. ისინი ეროვნულ - განმათავისუფლებელ მოძრაობას თანამეგზაურობის სხვა რევოლუციურ ნაკადებს უპირისპირებენ.

რაც დრო გადიოდა, მით უფრო ცხადი ხდებოდა, რომ ჩინეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობის ამ რეციონისტულ კონცეპციასა და ჭრელტიკულ მოქმედებას საფუძვლად ედო შორს გამიზნული ავანტიეროისტული პრეტენზიები საკუთარი ჰეგემონის მიღწევისა სოციალისტურ თანამეგობრობასა და საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობაში. ეს პრეტენზიები ფარულად, მაგრამ მჭიდროდ იყო დაკავშირებული ამ შეკინისტურ მიზანდასახულობასთან, რომ მიეღწიათ ჩინეთის განსაკუთრებული მდგომარეობისათვის საერთაშორისო ასპარეზზე.

მარქსიზმ-ლენინიზმისადმი უაღრესად მტრული კონცეპცია მაო ძე-დუნისა თუმცა ყოველნაირად ინიღბებოდა „მემარცხენე რევოლუციური“ ფრაზით, მაგრამ თანდათანობით ამეღავნებდა თავის ანტიჰალხურ, ანტირევოლუციურ არსს, თავის სრულ თეორიულ უბადრუკობასა და ცინიკურ სიყალბეს. მარქსისტულ-ლენინური პარტიების მხრივ კანონიერ კრიტიკას რომ შეხვდა, ჩინეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობა ბოლოს ეროვნულ ფორთა ძირგამომთხრელ საქმიანობაზე მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ, ნერგავდა და აფინანსებდა სხვადასხვა ქვეყნებში ანტიპარტიულ ჯგუფებს თავის მომხრეთა, ყოველგვარ რენეგატთა და ადგდგომილთა რიცხვიდან. თავიანთი ეს საქმიანობა რომ მიეჩქმალათ, პეკინელმა ლიდერებმა მოძმე პარტიების ძირითადი მასის წინააღმდეგ წამოაყენეს ცილისმწამებლური ბრალდებანი რევიზიონიზმში.

თავიანთი შთაგარი დარტყმა მათ მიმართეს სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ, უწინარეს ყოვლისა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, საბჭოთა ხალხის წინააღმდეგ. ცდილობდნენ შეერყიათ ჩვენი პარტიისა და ხალხის საყოველთაო ალიარებული როლი მსოფლიო სოციალისტური თანამეგობრობის ერთიანობისათვის ბრძოლაში, ძირი გამოეთხარათ საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ლენინური გენერალური ხაზისათვის, სახელი გაეტეხათ სსრ კავშირისათვის ორგორც მშვიდობისა და სოციალიზმის დიადი საქმის დასაყრდენისათვის, ცალი დაეწამებინათ საბჭოთა კავშირში სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის გამოცდილებისათვის.

ჩინეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობის ცდებს საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობისათვის თავს მოეხვიათ თავიანთი ავანტიეროისტული პროგოკაციული კურსი თან ახლდა ჩინეთის მთელი რიგი საგარეოპოლიტიკური აქციები, რომლებიც საერთაშორისო დაძაბულობის გაშეკვიანებისათვის იყო ნაკარაუდევი. ჩინეთის ხელმძღვანელები გულმოდგინედ ცდილობდნენ თავი აერიდებინათ იმპერიალიზმის ძალებთან ყოველი შეტაკებისათვის და ამავე დროს ყველაფერს აკეთებდნენ, რომ მიეღწიათ ჩინეთის ფარგლებს გარეთ ომის სიტუაციების შექმნისათვის. ამავე დროს ქვეყნის შიგნით ყველანაირად აღვივებდნენ სამხედრო ფსიქოზს იმ საბაბით, რომ ჩინეთს თითქოს ომის საფრთხე ემუქრებოდა. ამასთან პეკინელი ლიდერები იქამდე მივიდნენ, რომ დაიწყეს მოჩმახული ცილისმწამებლური მტკიცების გავრცელება, რომ ჩინეთის გარშემო არსებობდა რაღაც „ჯალა“, რასაც თითქოს ქმნდა „არა მარტო იმპერიალიზმის, არამედ აგრეთვე... სოციალისტური ქვეყნების მხრივ თავდასხმის საფრთხე.

თუ მარქსისტულ-ლენინური პარტიების წინაალმდეგ ბრძოლის დასაწყისში პეკინელი ხელმძღვანელები გულმოდგინედ ნიღბავდნენ თავიანთ ნამდვილ მისწრაფებებს და მათი კურსი გამოიყურებოდა როგორც დოგმატური. მემარცხენესექტანტური ყაიდის შეცდომათა ერთგვარი დახვავება, შემდეგში ამ „განსაკუთრებულმა კურსმა“ აშკარად გამოამეღავნა თავი როგორც მარქსიზმ-ლენინიზმისადმი მტრულმა კურსმა. კურსი, რომელსაც ჩინეთის კომუნისტური პარტიის ახლანდელი ხელმძღვანელები საერთაშორისო ასპარეზზე ახორციელებენ; მათი მტრული პოლიტიკა სოციალისტური ქვეყნების მიმართ; აღვირახსნილი კამპანია ჩვენი პარტიისა და საბჭოთა ხალხის წინააღმდეგ და გამთიშველი მოქმედება საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობაში — ყველაფერი ეს ზიანს აყენებს სოციალიზმის, საერთაშორისო მუშათა და განმათავისუფლებელი მოძრაობის გთიშვა და მისი იდეური განიარაღება. იმ ქვეყნების ხალხებმა, რომლებიც ეწევიან ბრძოლას იმპერიალიზმის წინააღმდეგ, თავიანთი ეროვნული დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის, პეკინის საგარეოპოლიტიკურ აქციებსა და „რეკომენდაციებში“ აღმოაჩინეს იმდენადვე დამღუპველი, რამდენადაც ეგოისტური არსი პეკინელ ლიდერთა მისწრაფებებისა, რომელნიც თავს არ იწუხებენ თავიანთი ქვეყნის ბედისათვის და, მით უმეტეს, სხვა ხალხთა ბედისათვის პასუხისმგებლობის შეგრძნებით.

ჩინეთში შეიქმნა ისეთი მდგომარეობა, როცა ჩინეთის კომუნისტური პარტიის ბეგრმა წევრმა, ჩინეთის მუშათა კლასის, გლეხობისა და ინტელიგენციის შეგნებულმა ნაწილმა, რომლებისთვისაც ძვირფასია თავიანთი ქვეყნის ბედი, იწყეს მაო ძე-დუნის პოლიტიკის მთელი დამღუპველობის შეცნობა, და ამან გამოხატულება ჰპოვა პარტიისა და სახელმწიფოს ბევრი მოღვაწის გამოსვლებშიც. ყველაფრიდან ჩანს, რომ სწორედ ამით იყო განპირობებული მაო ძე-დუნის ჯგუფის ღრმა შემფოთება, — იგი მიხვდა, რომ ადრე თუ გვიან მოუხდებოდა თავისი პარტიისა და ხალხის წინაშე პასუხი ეგო ყველაფრისათვის, რაც ჩაიდინა.

მაო ძე-დუნსა და მის ჯგუფს შესაძლებლობა და დრო ჰქონდათ იმისათვის. რომ დაფიქრებოდნენ თავიანთი მოქმედების დამღუპველ შედეგებს, გამოესწორებინათ შეცდომები, მაგრამ ეს არ ისურვეს და დაადგნენ კომუნისტური პარტიისა და სახელმწიფოს კადრებთან, მოწინავე მუშებთან, გლეხებთან და ინტელიგენციასთან ანგარიშის გასწორების გზას, აშკარა სამხედრო ბიუროკრატიული დიქტატურის რეჟიმის დანერგვის გზას. ამრიგად, ბინძურმა პოლიტიკურმა მიზნებმა წარმოშვეს იმ აღვირახსნილი კამპანიის ბინძური ხასიათიც, რომელიც ჩინეთში დაიწყო „პროლეტარული კულტურული რევოლუციის“ ლოზუნგით.

ნაცვლად ნამდვილი კულტურული რევოლუციისა, რომელიც სოციალიზმის დროს ნიშნავს ხალხის მასების კულტურულ-საგანმანათლებლო დონის და მეცნიერული მსოფლმხედველობის ამაღლების განხორციელებას, მეცნიერებისა და ტექნიკის ყოველმხრივ სწრაფ პროგრესს, სახალხო ინტელიგენციის კადრების შექმნას, ჩინეთში მისი ალმით გაჩაღდა მასობრივი გასწორება პარტიულ, კომკავშირულ, პროფკავშირულ კადრებთან, ინტელიგენციის ამუჩად აგდება, ტერორი მოწინავე მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ.

აქ უნდა გავიხსენოთ, რომ ეს კამპანია 1966 წლის გაზაფხულზე დაიწყო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს ორგანომ — გაზეთმა „ძეფენდიუ ბაომ“, რომელიც გამოვიდა ჩინეთის კომუნისტური პარტიის პეკინის საქალაქო კომიტეტის და მისი ბეჭდვითი გამოცემების წინააღმდეგ მოწოდებით „ცეცხლი დაეშინათ“ იმისათვის, რასაც გაზეთმა „ანტიპარტიული, ანტისოციალისტური ფორნტი“ უწოდა. ხოტბას ასხამდა რა 1958 წლის „დიდ ნახტომს“, გაზეთმა იმათ, ვინც არ ეთანხმებოდა „მაო ძე-დუნის იდეებს“, ბრალად დასდო „რევიზიონიზმი“ და „ბურჟუაზიული მონარქიზმი“, ცდილობდა უკანა რიცხვით დაედო მათთვის ბრალი იმ უბედურებათათვის, რაც ჩინეთს ეწია.

მაო ძე-დუნის მოწინააღმდეგეთა დევნის კამპანია პეკინიდან მთელ ჩინეთში გავრცელდა. მაგრამ მას ის შედეგები არ მოჰყოლია, რაზეც იმედს ამყარებდა მაო ძე-დუნის ჯგუფი. პარტიის რიგებში და ხალხის მასებში იზრდება უკმაყოფილება ჩინეთის იმ აუტანელი ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობის გამო, რომლამდეც იგი პეკინელმა ლიდერებმა მიიყვანეს. და თუ დასაწყისში ჩინეთის პრესა ცდილობდა „კულტურული რევოლუციის“ მიზნები განესაზღვრა როგორც ბურჟუაზიული იდეოლოგიის დამხობა და პროლეტარული იდეოლოგიის დამკვიდრება, და ამბობდა, რომ თითქოს ეს რევოლუცია მოწოდებულია ადამიანთა „სულს შეეხოს“, მალე გაბატონებული გახდა თეზისი იმის შესახებ, რომ „კულტურული რევოლუცია“ ჩინეთში არის... „ბრძოლა ძალაუფლების დაპყრობისათვის“.

ცნობილია, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუციაში და ჩინეთის კომუნისტური პარტიის VIII ყრილობის დოკუმენტებში ჩაწერილია, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში მთელი ძალაუფლება მშრომელ ხალხს ეკუთვნის. საკითხავია, მაშ ვიღას უპირებს ახლა მაო ძე-დუნის ჯგუფი ჩამოართვას ძალაუფლება? იმის საწინააღმდეგოდ, რასაც ამტკიცებდა და ამტკიცებს პეკინის პროპაგანდა „ხელისუფლების სათავეში მდგომი და კაპიტალისტური გზით მიმავალი ერთი მუჭა ადამიანების“ წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობის შესახებ, „კულტურულმა რევოლუციამ“ ბატარება და რიგელიც გამოცხადებულია „პროლეტარიატის დიქტატურის ძირითად დასაყრდენად“. მრავალ ათასჯერ გამოცხადებულ „დიდ გამარჯვებათა“ შემდეგ სულ უფრო გაადვილებელი და შემფოთებული ხდება მაო ძე-დუნისა და მისი დამქაშების მოწოდებანი „აწარმოონ კიდევ უფრო მძიმე ბრძოლა „ნაციონალური ბრძოლა“, დაამხონ, პოლიტიკურად, იდეოლოგიურად, თეორიულად გაუტეხონ სახელი“ მის მტრებს. ეს, ასე ვთქვათ, „თეორიული“ პლანით, ხოლო ჩინური გზეთებისა და „დაძი ბაოს“ ენაზე თარგმნით, ეს ასის მოწოდება „თავი გაუხვიოს ძალალებს“, ბოლომდე დაახრჩონ ძალალები“, „ჩამოახრჩონ მაოს მტრეი“, „სისხლით დაიცვან თავმჯდომარე მაო“, „იბრძოლონ ნაძირალეთა და ძალლის განაგლილის წინააღმდეგ“, „ბოროტმოქმედი გველების“ წინააღმდეგ და სხვ. გამოცხადდა, რომ ჩინეთის დასჭირდება არა ერთი, არამედ სამი-ოთხი „კულტურული რევოლუცია“.

ჩინეთში მომხდარმა უკანასკნელმა ამბებმა — ისეთებმა, როგორიც იყო შეიარაღებული შეტაკებანი უხანში, ნანჭინგში, გუანჭოუში, ჩუნცინში, ჩრდილო-აღმოსავლეთში, სინძიანში, ტიბეტში, შიდა მონღოლეთში, ჩინეთის მთელ რიგ პროვინციებში, — დამაჯერებლად ცხადყო, რომ პოლიტიკური კრიზისი, რომელიც ჩინეთს არყევს, კიდევ უფრო გაღრმავდა, რომ მას ახალი გართულებები მოჰყვება. ეს განსაზღვრება უფრო ნარეს ყოველისა იმით, რომ მაო ძე-დუნის ჯგუფი, მიუხედავად მთელი თავისი დაოსტატებისა სოციალურ-პოლიტიკური დემაგოგიის, მასების მოტყუების დარგში, სულ უფრო იაზარკვიან თავს საკუთარი ხალხის წინაშე თავისი მოქმედებით, რომელიც მიმართულია ხალხის ძირეული ინტერესების წინააღმდეგ.

ძირს რომ ეუთხრეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ყოფილების სისტემას, მაო ძე-დუნის ჯგუფი არსებითად ლიხვარს სცემს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში სოციალისტური წყობილების თვით საფუძველს.

მუშათა კლასი და მისი კომუნისტური პარტია რომ ჩამოაშორა ქვეყნის მართვას და ამით ფაქტიურ გადატრიალებას რომ ახორციელებს. რომლის მიზანია ეგრეთწოდებული „ძალაუფლების ხელში ჩაგდება“, მაო ძე-დუნის ჯგუფმა დაანახვა ხალხს, რომ „კულტურული რევოლუციის“ პროგრამის მთელი არსია მისწრაფება ჩინეთში მაო ძე-დუნისა და მისი ჯგუფის დიქტატურის დამკვიდრებისადმი.

ამ გადაწყვეტილების გასამართლებლად პეკინელი პროპაგანდისტები ახლა ცდილობენ ისე წარმოადგინონ საქმე, თითქოს 1949 წელს, როცა ჩინეთში რევოლუციამ გაიმარჯვა, ჩინელმა ხალხმა ვერ შეძლო მთლიანად აეღო თავის ხელში ძალაუფლება და თითქოს დღემდე ვერ მოუხერხებია ეს, თუმცა რევოლუციის გამარჯვების შემდეგ უკვე ჩვიდმეტ წელზე მეტი გავიდა. ასე ერთი დაკვრით უნდათ წაშლონ მოსპოვარნი ჩინეთის მშრომელებისა. რომლებმაც კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს სოციალისტურ მშენებლობაში მანამდე. სანამ მაო ძე-დუნმა და მისმა ჯგუფმა „განსაკუთრებული კურსის“ განხორციელება არ დაიწყეს.

ცდილობენ რა დაამკვიდრონ თავიანთი დიქტატურა, მაო ძე-დუნი და მისი ჯგუფი სულ უფრო აძლიერებენ ახალგაზრა ბას-წორებას ყველა იმათთან, ვინც ამა თუ იმ ფორმით გამოთქვამს მათდამი უთანხმოებას. თავიანთ მოწინააღმდეგეებად მათ მიიჩნიათ უწინარეს ყოვლისა პარტია, პარტიული კადრები, რომლებსაც დიდი რევოლუციური გამოცდილება აქვთ და რომლებიც იმის წინააღმდეგ გამოდიან, რომ მარქსიზმ-ლენინიზმი მაოიზმით შეიცვალოს. ეი რატომ არის, რომ მაო ძე-დუნი ძირითად დარტყმას მიმართავს პარტიისა და მისი იმ გაფაწყვეტილებების წინააღმდეგ, რომლებიც მიღებულ იქმა ჩინეთის კომპარტიის VIII ყრილობაზე.

პარტიას რომ არ ენდობა, მისი რომ ეშინია, მაო ძე-დუნის ჯგუფი ცდილობს გაანადგუროს პარტიული და სახელმწიფო ორგანოები, რომლებიც შექმნილია ჩინეთის კომპარტიის წესდებისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუციის შესაბამისად, და შეცვალოს ისინი რაღაც „რევოლუციური კომიტეტებით“, რომლებიც ნაჩქარევად შეკოწიწებულია ამ ჯგუფის დამქაშებისაგან და რომლებსაც ხელისუფლების „ახალი ფორმა“ უწოდეს. მაგრამ არც ეს აღმოჩნდა იოლი საქმე. ამის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს ის ამბები, რაც მოხდა ჩინეთის დედაქალაქში. სადაც პარტიული ორგანოები და სახალხო კომიტეტები თავდაჩარვულად არაერთხელ განიცდიდნენ „რეორგანიზაციას“, ახლა კი ისინი სულაც გაქრეკეს. ისინი შეუცვალა „კომიტეტმა“, რომელსაც სათავეში უდგას... „ეშიშროების ორგანოების ხელმძღვანელი სე ფუ-ჯი. და ყოველივე ამას „ძალაუფლებისათვის ბრძოლის“ ორგანიზატორები უსიტყვოდ ასაღებენ „პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცების“ ლოზუნგებად!

ვ. ი. ლენინი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ მხოლოდ მუშათა კლასის პოლიტიკურ პარტიას, ვ. ი. კომუნისტურ პარტიას, ძალუძს განახორციელოს პროლეტარიატისადმი პოლიტიკური ხელმძღვანელობა, უხელმძღვანელოს ბრძოლა მეშრომელ მასებს. „უამისოდ, — ამბობდა ლენინი, — პროლეტარიატს დიქტატურის განხორციელება შეუძლებელი“. მაგრამ რა პროლეტარულ დიქტატურაზე შეუძლიათ ლაპარაკი იმათ, ვინც პარტიის ზემოთ დგება, ვინც ძირს უთხრის მის წარმმართველ და ხელმძღვანელ როლს, ვინც პარტიას ცვლის იმ ადამიანთა ვიწრო ჯგუფით, რომლებიც დემაგოგიური ლოზუნგებით ინიღბებიან და მხოლოდ თავიანთი ანგარებითი მიზნების მიღწევას ცდილობენ?

საქმის ვითარება რომ სწორედ ასეთია, ამას გვიჩვენებს ის ფაქტი, რომ ამჟამად ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საქმიანობა პარალიზებულია, რომ მისი შემადგენლობის ორ მესამედზე მეტი, პოლიტბიუროსა და სამდივნოს წევრთა უმრავლესობის ჩათვლით, მათ შორის ლიუ შაო-ცი, ჯუ დე, ჩენ იუნი, დენ სიაო-პინი, პინ დე-ხუაი, ხე ლონი, პენ ჭენი, ტაო ჯუ, ლი ფინ-ციუანი, ლუ დინ-ი, ბო ი-ბო, ულანფუ, ჯან ვენ-ტიანი, ჯან ჭია-სიანი, ლო იუი-ციანი, ჩამოშორებული არიან ხელმძღვანელობას და ცილდაწამებული ირიან, ისევე როგორც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის ბევრი ხელმძღვანელი მოდაწყ.

პარტიის წინაალმდეგ, ჩინეთში სოციალიზმის თვით საფუძვლების წინაალმდეგ ბრძოლაში მაო ძე-დუნმა უკანასკნელი ვარიუდი დაამყარა არმიაზე, რომლის ხელმძღვანელობაში ერიდი ხანი ჩაყენა თავისი ხდობით აღტურვილი პირები. თუ თავდაპირველად არმიისა და სახელმწიფო უშიშროების წარმომადგენლები ქმნიდნენ ხუნვიბინების რაზმებს და ხელმძღვანელობდნენ მათ რბევასა და რეპრესიებში, ახლა არმიის შინაურთები იარაღის გამოყენებით თვითონ აყენებენ მაო ძე-დუნისათვის სასურველ „კომიტეტებს“, რომლებშიც სამხედრო პირები პირველხარისხოვან როლს ასრულებენ. არმიის ზედამხედველობით, რომელიც ახლა ეგრეთწოდებულ „სახალხო-პოლიტიკურ კონტროლს“ ახორციელებს, წარმოებს ამჟამად მუშათა ქარხნებში, ფაბრიკებში, სოფლად. იმ „კომიტეტშიც“ კი, რომელიც ამჟამად სათავეში უდგას ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიას, თავმჯდომარედ მოკალათებულია სამხედრო ჯუნგების წარმომადგენელი! პეკინში ახლა აშკარად აღიარებენ, არმიის დაუხმარებლად „კულტურული რევოლუცია“ ვერ განხორციელდებოდა, და მოსახლეობა ამ ბოლოდროინდელ წინაალმდეგობა არ გაუწიოს მას.

მაგრამ უკანასკნელ ხანს მაოიზმისადმი წინაალმდეგობამ განვითარება იწყო არმიაშიც. რომელიც ამჟამად ხორციელდება მორიგი წესენა.

მაო ძე-დუნის ჯგუფს პოლიტიკის ანტიჰალხური ხრსი ამაშიც ამოვლენილა, რომ უკანასკნელი წლის განმავლობაში მან გააჩინა გაძლიერებული შეტევა მუშათა კლასისა და გლეხობის ცხოვრების დონეზე, ხოლო მუშებისა და გლეხების ის ცდები, რომ დიაცვან თავიანთი უფლებები, მან „ეკონომიზმად“ გამოაცხადა. მუშებისა და გლეხების გაფიცვებისა და შეიარაღებული გამოსვლების ტალღა მოედო ჩინეთის მეტ წილ რაიონებს, და ოფიციალურ პირებსაც კი არ ძალუძს დუმილით აუაროს მათ გვერდი. ამ გამოსვლებმა ცხადყო, თუ ნამდვილად რა ფასი აქვს იმ ეკონომიურ პოლიტიკას, რასაც ახორციელებს მაო ძე-დუნი, რომელიც ჩინეთში ნერგავს ორგანიზებული სიდარტაკის რეჟიმს.

თავის დარტყმებს ჩინეთის მშრომელებისა და ჩინეთის კომპარტიის წინაალმდეგ რომ მიმართავს, მაო ძე-დუნის ჯგუფი „კულტურული რევოლუციის“ მსვლელობაში არ შეხებია, რაც ფრიად დამახასიათებელია, მხოლოდ ერთ კლასს — ბურჟუაზიის კლასს. ათასობით და ათასობით კაპიტალისტი იღება და იღებს თავის პრაკენტებს სახელმწიფოს მმართველობაში გადასული საწარმოებისათვის და ფიქტიურად განაგრძობს ამ საწარმოების ხელმძღვანელობას. ჩინეთის პოლიტიკური ასპარეზზე იღეწის ჩინელი ხალხის ბევრი ძველი მტერი, ისეთები, როგორიც არის ყოფილი ვომინდანელი „პრეზიდენტი“ ლი ძუნ-ჟენი, რომელიც ამერიკის ემიგრაციიდან ამოათრიეს და ახლა მოკალთებული ირიან მმართველი ხროვის მფარველობით.

როგორც ცნობილია, ჩინეთის კომუნისტებმა, გამოდიოდნენ რა თავიანთი რევოლუციური ბრძოლის პრაქტიკიდან, სხვა მომძე პარტიების გამოცდილებიდან თავიანთ უკანასკნელ VIII ყრილობაზე მიიღეს მთელი რიგი დიდნიშვნელოვანი გადაწყვეტილებანი. ჩინეთის კომპარტიის წესდებაში, რომელიც იცავენ მარქსიზმ ლენინიზმის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებს, აი უკვე ნახევარი საუკუნეა ცილსა სწამებენ ჩვენს პარტიასა და ხალხს ბატონი იმპერიალისტები და მათი ამყოლ-დამყოლნი. ისინი გაიწყინენენ ამ საქმეში, ცოტა კუპრი კი არ დაბარჯეს, რომ სახელი გაეტეხათ საბჭოთა კავშირისათვის, სოციალიზმის წყობილებისათვის — და სულ ამაოდ. ახლა პეკინის ლიდერები, მათი პროპაგანდისტები იმეორებენ ბურჟუაზიული პროპაგანდის ნალაყებებს და თავის მხრივ იყენებენ პოლიტიკური პროგოკაციის ნიმუშორის ყველაზე მდარეხარისხოვან ხერხებს, რათა ცილი დასწამონ საბჭოთა კავშირსა და ომამე სოციალისტურ ქვეყნებს, მოატყუონ თავიანთი ხალხი. მოწამლონ საერთაშორისო ვითარება.

იმპერიალისტური რეაქციის ძალები ტაშს უკრავენ ჩინელ ცილისმწამებლებს. გამოთქვამენ თავიანთ სიხარულს ამის გამო, რომ პეკინელი ლიდერების „მემარცხენერევოლუციური“ ფრაზეოლოგიის უკან იმალება შოვინისტური მისწრაფებები, რომლებიც ხელსაყრელია იმპერიალისტური რეაქციისა და ომის ძალებისათვის.

მართლაც, პეკინის „მემარცხენე“ დემაგოგია უერთდება იმას, რომ ეგი უარს ამბობს სოციალისტურ ქვეყნებთან, კომუნისტურ პარტიებთან და ანტიიმპერიალისტურ ფრონტის მთელ ძალებთან მოქმედების ერთიანობაზე გვირი ვიეტნამელი ხალხისათვის ბახმარების აღმოსაჩენად მის ბრძოლაში ამერიკის შეერთებული შტატების ავანტიური აგრესიის წინააღმდეგ.

ახლო აღმოსავლეთში მომხდარ ამბებთან დაკავშირებით მაო ძე-დუნის ჯგუფმა გააჩინა ახალი ცილისმწამებლური კამპანია სოციალისტური ქვეყნების წინაალმდეგ. ცდილობს თავისი პროგოკაციული მოქმედებით გათიშოს ანტიიმპერიალისტური ძალები, ძირი გამოუთხაროს ნდობას არაბულ სახელმწიფოთა ხალხებსა და სოციალისტური ქვეყნების ხალხებს შორის.

ჩინეთში უკანასკნელი ამბების მსვლელობა ადასტურებს, რომ ამ დიდი ქვეყნისა და მისი ხალხის კომუნისტთა შეგნებაში, მიუხედავად პეკინში დაფდაფების ცემისა „კულტურული რევოლუციის“ „დიდ გამარჯვებათა“ შესახებ, სულ უფრო ცხადი ხდება მაო ძე-დუნისა და მისი ჯგუფის ულრმესი პოლიტიკური დაცემა. ფაქტები მოწმობენ. რომ მაო ძე-დუნი და მისი ჯგუფი. ცდილობენ. რა გიუსწორდნენ ჩინეთის ბუშათა კლასსა და კომპარტიას. მხოლოდ აჩქარებენ მარქსიზმ-ლენინიზმისადმი უცხო თავიანთი წერილბურჟუაზიული, ავანტიეროისტული პოლიტიკის, ისტორიის მიერ განწირული მისი დიდმპყრობელური მისწრაფებების მხილებასა და ჩაფუშვას.

ჯერჯერობით ძნელია ითქვას, თუ როგორ განვითარდება მოვლენები ჩინეთში. თავისი ანტიხალხური კურსი რომ დაიცვას და ძალაუფლება შეინარჩუნოს, მაო ძე-დუნის ჯგუფი იყენებს ყველაზე ვერაგულ ხერხებსა და მეთოდებს, ადვირახსნილ დემაგოგიას. იმ ადგილებს მორალურად შებილწვასა და ფიზიკურად განადგურებას, რომლებიც წინააღმდეგობას უწევენ მის პოლიტიკას. ჩინელ ხალხში. მეტადრე. ცხოვრებით გამოუცდელ ახალგაზრდობაში. თვსავენ შოვინისტურ განწყობილებას, ნერგავენ სიძულვილს მომმე სოციალისტური ქვეყნების

პირველად ალპინიზმის ისტორიაში

ლენინის პიკი თავის სიმაღლითა და სირთულით მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე ძნელად დასაძლევ მწვერვალად არის აღიარებული და აი ასეთ პიკზე ალპინიზმის ისტორიაში პირველად მოეწყო მასობრივი ალპინიადა, მიძღვნილი საბჭოთა სახელმწიფოს 50 წლისთავისადმი. 200-ზე მეტ ალპინისტს მიჰქონდა იერიში მწვერვალზე სხვადასხვა მხრიდან. აღსანიშნავია, რომ აქამდე ლენინის პიკზე ერთდროულად იერიში 38-ზე მეტ კაცს არ მიუტანია. საყურადღებოა ისიც, რომ ალპინიადაში გარდა საბჭოთა კავშირისა მონაწილეობდნენ ბულგარეთის, იუგოსლავიის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის იტალიისა და ავსტრიის მთამსვლელები.

14 აგვისტოს მთავარმა მოიერიშე ჯგუფმა, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ სპორტის დამსახურებული ოსტატი მ. ხერგიანი და მოსკოველი ინჟინერი ი. გობაჩევი, ვ. ი. ლენინის პიკზე აიტანა უძანგავი რკინისაგან გაკეთებული მემორიალური ობელისკი, რომელიც დაპროექტებული იყო ცნობილი საბჭოთა ალპინისტის ვ. ი. ლენინის პიკზე პირველი ამსვლელის მ. აბალაკოვის მიერ. ალპინისტებმა ობელისკის გვერდზე ალფრალეს 9 სახელმწიფოს ალმები. ამის შემდეგ მ. ხერგიანისა და ი. გობაჩევის ჯგუფი დაეშვა საბაზო ბანაკში. გზაში მათ ხვდებოდათ ალპინისტთა ახალი ნაკადები, რომლებსაც მწვერვალზე მიჰქონდათ ბარელიეფი და ვ. ი. ლენინის ბიუსტი.

ეს ჯგუფებიც ურთულესი გზებით წარმატებით ავიდნენ მწვერვალზე. მათაც იზეიმეს ალპინიზმის ისტორიაში არნახული წარმატება, ალპინიადის ჩინებულად დამთავრება.

ამ სურათებზე თქვენ ხედავთ (ზევიდან) ალპინისტთა ერთ ჯგუფს ვ. ი. ლენინის პიკის მისადგომებთან, მემორიალურ ობელისკს, რომელიც პიკზე დადგეს, და ალპინიადის უხუცეს მონაწილეს ვ. ფიკლაურს.

ფოტო ე. ვილჩინსკისა. (აას).

საჭადრაკო ტურნირები

⊙ **იუგოსლავიაში** დიდმა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირმა სკოპლიდან და კრუშევოდან ქ. ობრიდში გადაინაცვლა. უკვე გათამაშდა რვა ტური. 6,5 ქულით ლიდერია **რ. ფიშერი, რ. ხოლმოვს** 5,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია აქვს, **ე. გელერს** —4,5 ქულა და 2 გადადებული პარტია.

⊙ **დებრეცენში (უნგრეთი)** დაიწყო საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი. სამი ტურის შემდეგ ერთპიროვნულად ლიდერია საბჭოთა გროსმაისტერი **დ. ბრონშტეინი, რომელსაც სამი ქულა აქვს.**

⊙ **პოლიანიცა-ზდროუის** (პოლონეთი) საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის ლიდერია ჩეხოსლოვაკიელი გროსმაისტერი **ვ. გორტი** —5-დან 4,5 ქულა.

საზღვარგარეთის სტადიონებზე

⊙ **იტალიის** ოლიმპიური ნაკრები ფეხბურთის სამშობლოს — ინგლისს ეწვია და აქ ორი მატჩი გამართა. პირველი შეხვედრა იტალიელებმა „საუთგენტის“ საკლუბო გუნდთან დაამთავრეს ფრედ — 2:2. მეორე კი „მანჩესტერ იუნაიტედთან“ წააგეს 0:2.

⊙ **ამ მატჩებამდე** ინგლისში გაიმართა სეზონის გახსნისადმი მიძღვნილი ამხანაგური შეხვედრა ინგლისის ჩემპიონ „მანჩესტერ იუნაიტედსა“ და თასის მფლობელ „ტოტენჰემ ჰოტსპურს“ შორის. თამაში დამთავრდა ფრედ 3:3.

სპორტული ქრონიკა

⊙ **ოლდერშოტში** (ინგლისი) დასასრულს უახლოვდება ჭაბუკ ხუთეიდელთა მსოფლიოს პირველობა. უკვე შედგა შეჯიბრება ოთხ სახეობაში. გუნდურ ჩათვლაში წინ არიან გდრ-ს სპორტსმენები. მეორე ადგილზეა საბჭოთა ნაკრები. პირად ასპარეზობაში დაწინაურდა **ი. ლანგერი** (გდრ).

⊙ **მსოფლიოს** ჩემპიონმა შაიბიან ჰოკეიში სსრ კავშირის ნაკრებმა 16 აგვისტოს მოსკოვში გამართა ამხანაგური მატჩი დედაქალაქის „დინამოსთან“ და გაიმარჯვა 11:3.

მოსკოვის „დინამოსა“ და „სპარტაკის“ გუშინწინდელი შეხვედრა საკავშირო ჩემპიონატის 21-ე ტურის უკანასკნელი მატჩი იყო. მორიგ ტურამდე ფეხბურთის მოყვარულთა ყურადღება გადატანილი იქნება სსრ კავშირის თასის გათამაშებაზე. 18 და 19 აგვისტოს ჩვენ ოთხი მეოთხედფინალური ასპარეზობის მოწმენი ვიქნებით.

ვინ შერჩა თასისათვის მებრძოლთა რიგებს?

ესენი არიან მოსკოვის „დინამოს“, „ტორპედოს“, ცსკა-სა და „ლოკომოტივის“, ბაკოს „ნეფტიანიკის“, ტაშკენტის „პახტაკორის“, ოდესის „ჩერნომორეცისა“ და სარატოვის „სოკოლის“ გუნდები. აი როგორ დაწყვილდნენ ეს კოლექტივები წილისყრით: ცსკა— „ლოკომოტივი“, „ნეფტიანიკი“ — „პახტაკორი“, „სოკოლი“ — „ჩერნომორეცი“, „ტორპედო“ — „დინამო“.



ვინ გავა ნახევარფინალში?

სსრ კავშირის თასზე

პირველი სამი მატჩი შედგება 18 აგვისტოს, მეოთხე — 19 აგვისტოს.

რა თქმა უნდა, ოთხივე შეხვედრა მეტად საინტერესო იქნება, მაგრამ მათ შორის პირველ რიგში უნდა გამოვყოთ „ტორპედოსა“ და „დინამოს“ თამაში. თუ ამ გუნდების საკავშირო ჩემპიონატების შეხვედრებში გარკვეული უპირატესობა დინამოელებს აქვთ, თასის გათამაშებაში სასწორი ტორპედოელთა მხარეზეა გადახრილი. თუ ვიმსჯელებთ მეტოქეთა დღევანდელი სპორტული ფორმის შეხედვით, ბევრნი ცხადია, წარმატებას დინამოელებს უწინასწარმეტყველებენ.

სარატოვის „სოკოლი“ ბევრისათვის უცნობია, მისი მეოთხედფინალში გასვლა თავისთავად წარმატებას ნიშნავს.

„ბ“ კლასის მეოთხე ზონაში

16 აგვისტოს გაიმართა „ბ“ კლასის მეოთხე ზონის გუნდების მატჩები ფეხბურთში. აი მათი შედეგები:

„დილა“ (გორი) — „ურეკი“ (დარუბანდი) 6:2, „კოლხეთი“ (ფოთი) — „დინამო“ (სოხუმი) 0:0, „შუქურა“ (ქობულეთი) — „ცემენტი“ (ნოვოროსიისკი) 5:2, „მეტალურგი“ (რუსთავი)— „გურია“ (ლანჩხუთი) 0:0, „მაღაროელი“ (ტყიბული) — „დინამო“ (მახაჩყალა) 1:2.

„ტყავის ბურთი“

„საქართველო“ და მისი 18 წლის მფწვრთნელი

ოთხი დღეა დონის დედაქალაქი „ტყავის ბურთის“ კლუბის პრიზზე გამართული ფინალური შეჯიბრებებით ცხოვრობს. როსტოველებს კარგად ახსოვთ ბავშვების საზეიმო სვლა ქალაქის ქუჩებში, შეჯიბრების გახსნის პარადი. ახლა გაჩაღებულია 12-13 წლის ფეხბურთელთა მატჩები, რომლებიც ოთხ სტადიონზე მიმდინარეობს.

გამოვლინდნენ შეჯიბრების პირველი ფავორიტები. სხვებზე უკეთესი სტარტი ჰქონდა ქალაქ ორჯონიკიძის გუნდ „საქართველოს“. სამმე ის არის, რომ ამ ბიჭებმა პირველი მატჩი თავიანთ ქვეჯგუფში „მაუჩს“ (ტაჯიკეთი) დიდი ანგარიშით (8:0) მოუგეს, ხოლო მეორე მატჩში დაამარცხეს ომსკის „ლანდიში“ — 2:0.

სანამ როსტოვში მოსვდებოდნენ, საზოგადოებრივ საწყისებზე მომუშავე მწვრთნელის, ძირითადი პროფესიით გამყიდველის 18 წლის ბენადი თარაშვილს აღზრდილებმა პირველობა მოიპოვეს ჩრდილოეთ ოსეთის 319 გუნდში. მათ მოიგეს შვიდი მატჩი რაიონის პირველობაში და რვა — ქალაქისა და რესპუბლიკის ჩემპიონატში.

როცა მოედანზე „საქართველო“ გამოდის, მაყურებლებმა უკვე იციან, რომ ახლა აქ მწვავე კომბინაციებითა და ტემპერამენტით აღსავსე თამაში იქნება. კარგი თვალი დაუთესია 18 წლის მწვრთნელს. ბიჭები ჩინებულად არიან მომზადებულნი ფიზიკურად, იცნობენ ფეხბურთის ტაქტიკის საფუძვლებს და თავიანთი ასაკის კვალობაზე ცუდად როდი ფლობენ ტექნიკას.

შეძლებენ თუ ვერა ორჯონიკიძელი ნორჩი ფეხბურთელები ბისრულონ ოცნება — მოიგონ „ტყავის ბურთის“ თასი, — ამას დრო გვიჩვენებს. წინ ხომ მძაფრი შეტაკებებია.

ა. ანსიმოვი,
(„სოვეტსკი სპორტ“, 15/VIII).

„ს. ხუნდაძის დამკრძალავი კომისიისაგან

საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმის სერგო რომანისძე ხუნდაძის პანაშვიდი დანიშნულია 18 აგვისტოს 20 საათზე (ინგის ქ. № 16), 19 აგვისტოს — 16 საათზე, გამოსვენება 17 საათზე სანკულტურის სახლიდან (პლეხანოვის პროსპ. № 101).

ი. ბოძაშვილი

ბანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საქართველოს დამსახურების თიანეთის კანტორის დირექტორი **ი. ბოძაშვილი.**

ი. ბოძაშვილი დაიბადა 1908 წელს თიანეთის რაიონის სოფელ თიანეთში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ 1927 წლამდე მუშაობდა მასწავლებლად თიანეთის რაიონის სოფელ ყუბოტის დაწყებით სკოლაში. 1932 წელს დამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგეგმო-ეკონომიური ფაკულტეტი. ამავე წლიდან 1938 წლამდე მუშაობდა თბილისში საქეიჩრობაში სხვადასხვა თანამდებობაზე. 1938-დან 1942 წლამდე იყო თიანეთის რაიკოოპკავშირის გამგეობის თავმჯდომარე, ხოლო შემდეგ 1945 წლამდე სსრ კავშირის დამზადებათა სახალხო კომისარიატის რწმუნებული თიანეთის რაიონში.

1945 წლიდან ი. ბოძაშვილი სამუშაოდ გადადის თბილისში და მუშაობს სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობაზე. იყო სსრ კავშირის დამზადებათა სამინისტროს საქართველოს სარწმუნებულოს მარცვლეული და ზეთოვანი კულტურების დამზადების სექტორის უფროსი, საქცხოველმზადების ტრესტის მმართველი, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის დამზადების სამმართველოს უფროსის მოადგილე და სხვ.

1966 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე ი. ბოძაშვილი მუშაობდა „საქხილბოსტნის“ დამზადების თიანეთის კანტორის დირექტორად.

მიღებული ჰქონდა სამამულო ომის მეორე ხარისხის ორდენი და მედლები.

თავმდაბალი, გულისხმიერი, პრინციპული და ენერგიული მუშაკის ი. ბოძაშვილის ხსოვნა დიდხანს დარჩება ამხანაგებისა და მეგობრების გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აცხადებს ასპირანტურაში მიღებას 1967 წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

წარმოებისაგან მოწყვეტით: მათემატიკური ანალიზი, ფუნქციონალური ანალიზი და ფუნქციათა თეორია, გეომეტრია და ტოპოლოგია, გამოთვლითი მათემატიკა, თეორიული კიბერნეტიკა, ჰიდროაერომექანიკა, ასტრონომია და ცეცხლი მექანიკა, თეორიული და მათემატიკური ფიზიკა, რადიოფიზიკა, მყარი სხეულის ფიზიკა, პლაზმის ფიზიკა, დაბალი ტემპერატურის ფიზიკა, გეოფიზიკა, ატომბირთვისა და კოსმოსური სხივების ფიზიკა, არაორგანული ქიმია, ანალიზური ქიმია, ორგანული ქიმია, ფიზიკური ქიმია, ბიოფიზიკა, ბიოქიმია, ბოტანიკა, ადამიანის და ცხოველთა ფიზიოლოგია, გენეტიკა, პარასიტოლოგია, პალეონტოლოგია და სტრატიგრაფია, კვების პროდუქტების საქონელმცოდნეობა, სამრეწველო საქონლის საქონელმცოდნეობა, სკკპ ისტორია, მსოფლიო ისტორია, არქეოლოგია, შრომის ეკონომიკა, ფინანსები, საბუღალტრო აღრიცხვა და სამეურნეო საქმიანობის ანალიზი, დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმი, რუსული ლიტერატურა, ფრანგული ენა, დასავლეთ ევროპის ლიტერატურა, საზღვარგარეთის ქვეყნების ეკონომიური და პოლიტიკური გეოგრაფია, ბურჟუაზიული ქვეყნების სახელმწიფო და სამართალი, ფსიქოლოგია.

წარმოებისაგან მოწყვეტლივ: მათემატიკური ანალიზი, თეორიული კიბერნეტიკა, დრეკადობის თეორია, თეორიული და მათემატიკური ფიზიკა, რადიოფიზიკა, მყარი სხეულის ფიზიკა, დაბალი ტემპერატურების ფიზიკა, გეოფიზიკა, ექსპერიმენტული ბირთვული ფიზიკა, ფიზიკური ქიმია, ემბრიოლოგია და ჰისტოლოგია, სსრ კავშირის ხალხთა ისტორია, ეთნოგრაფია, პოლიტიკური ეკონომია, ვაჭრობის ორგანიზაცია და ტექნიკა, სამრეწველო საწარმოს ორგანიზაცია და დაგეგმვა, ფილოსოფიის ისტორია, მეცნიერული ათეიზმი, ძველი ქართული ენა, უურნალისტიკა, ფიზიკური გეოგრაფია, ეკონომიური გეოლოგია, ევროპის სოციალისტური ქვეყნების ეკონომიური გეოგრაფია, სამოქალაქო სამართალი.

ასპირანტურაში წარმოებისაგან მოწყვეტით მიიღებიან სსრ კავშირის მოქალაქეები არაუმეტეს 35 წლის ასაკისა, ხოლო წარმოებისაგან მოუწყვეტლივ 45 წლის ასაკისა, რომელთაც დამთავრებული აქვთ უმაღლესი სასწავლებელი, გამოიჩინეს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის უნარი და აქვთ არჩეული სპეციალობის პროფილით მეცნიერული, პედაგოგიური ან წარმოებაში მუშაობის სულ მცირე ორი წლის გამოცდილება. უშუალოდ უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ გამონაკლისის სახით ასპირანტურაში მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან ის პირნი, რომელთაც აქვთ უმაღლესი სასწავლებლის სამეცნიერო საბჭოს რეკომენდაცია ასპირანტურაში შესასვლელად.

განცხადება ასპირანტურაში მიღების შესახებ შეტანილ უნდა იქნას უნივერსიტეტის რექტორის სახელზე შემდეგი საბუთებით: 1) კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, ფოტოსურათი, 2) ნოტარიალურად შემოწმებული დიპლომის ასლი, 3) საქმიანი და პარტიული დახასიათება მუშაობის ან სწავლის უკანასკნელი ადგილიდან, 4) ცნობა პრაქტიკული მუშაობის სტაჟის შესახებ ან ამონაწერი რეკომენდაციის შესახებ უმაღლესი სასწავლებლის სამეცნიერო საბჭოს დადგენილებიდან, 5) გამოქვეყნებული შრომების სია. ის პირნი, რომელთაც გამოქვეყნებული შრომები არა აქვთ, ვალდებული არიან წარმოადგინონ სამეცნიერო მოხსენება (რეფერატი) სპეციალურ საგანში.

ასპირანტურაში შემსვლელნი მისაღებ გამოცდებს აბარებენ სპეციალურ საგანში, სკკპ ისტორიასა და ერთ-ერთ უცხო ენაში.

განცხადებები მიიღება ა. წ. 1 სექტემბრიდან 25 სექტემბრამდე. **მისაღები გამოცდები** დაიწყება 1 ოქტომბრიდან.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება უნივერსიტეტის ასპირანტურის განყოფილებაში.

მისამართი: თბილისი. ი. ჭავჭავაძის პროსპექტი № 1.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის

თბილისის № 5 ქალაქის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი

აცხადებს, რომ გრძელდება მოსწავლეთა მიღება 1967-68 სასწავლო წლისათვის ქართული და რუსული სექტორების შემდეგ სპეციალობებზე:

1. ხარატები, 2. მღარავები, 3. მექანიკურ-საამწყობო სამუშაოთა ზეინკლები, 4. ზეინკალ-შემკეთებლები.

სწავლების ხანგრძლივობა 2-3 წელია პროფესიების შესაბამისად.

სასწავლებელში მიიღებიან 15-17 წლის ასაკის ვაჟები, 7, 8 კლასის განათლებით.

განცხადებას თან უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები: 1. 8 კლასის დამთავრების მოწმობა ან საშუალო სკოლის მე-8 კლასში გადაყვანის ცნობა, 2. დაბადების მოწმობა (დედანი), 3. ავტობიოგრაფია, 4. 6 ფოტოსურათი ზომით 3×4 უქუდოდ, 5. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ 6. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან ოჯახური მდგომარეობის შესახებ, 7. დახასიათება სკოლიდან.

სწავლების პერიოდში მოსწავლეები იმყოფებიან სრულ სახელმწიფო კმაყოფაზე. მოსწავლეები, რომლებიც ჩაირიცხებიან 3-წლიანი სწავლების ჯგუფში, მიიღებენ როგორც სრულ საშუალო, ისე პროფესიულ განათლებას და წარჩინებით დამთავრების შემთხვევაში დაუსწრებელ და საღამოს სწავლების განყოფილებაზე უმაღლეს სასწავლებელში ჩაირიცხებიან უკონკურსოდ, ოგრეთვე უფლება ეძლევათ საერთო წესით მიიწყონ უმაღლეს სასწავლებელში წარმოებისაგან მოწყვეტით.

სასწავლებელში სწავლების პერიოდი ითვლება საერთო უწყვეტი მუშაობის სტაჟად და შედის შრომის წიგნაკში.

მეცადინეობა იწყება 1 სექტემბერს.

სასწავლებლის მისამართი: თბილისი — 32, ერთვინის ქუჩა № 53. № 5 პროფტექნიკური სასწავლებელი, ტელ. 5-23-72, ავტობუსი №№ 28, 29.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის

გორის № 39 ქალაქის პროფტექნიკური სასწავლებელი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1967-68 სასწავლო წლისათვის

სასწავლებელში მიიღებიან საშუალო და არასრული საშუალო განათლების მქონე გოგონები 15-დან 25 წლის ასაკამდე.

სასწავლებელი ამზადებს ფეიქრებს. სწავლის ვადა: საშუალო განათლების მქონეთათვის 1 წელი, ხოლო არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთათვის — **წელიწადნახევარი.**

იმ ახალგაზრდებს, რომლებსაც საშუალო განათლება არა აქვთ, შეუძლიათ სწავლა განაგრძონ აქვე არსებულ მუშა ახალგაზრდობის საშუალო სკოლაში.

სწავლა იწყება 1 სექტემბერს. განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები: მოწმობა განათლების შესახებ (დედანი), დაბადების მოწმობა, ავტობიოგრაფია, ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, სამი ცალი ფოტოსურათი (ზომით 3×4), პასპორტი — წარმოდგენილ უნდა იქნას პირადად.

სასწავლებელში ჩარიცხულნი უზრუნველყოფილი იქნებიან უფასო ბინით, კვებით, ტანსაცმლით, ამასთანავე საწარმოო პრაქტიკის დროს მიეცემათ გამომუშავებული ხელფასის 33 პროცენტი.

პროფტექნიკურ სასწავლებელში სწავლების ვადა ითვლება საწარმოო სტაჟად. ის მოსწავლეები, რომელთაც აქვთ საშუალო განათლება და სასწავლებელს დამთავრებენ წარჩინებით, საღამოს დასწრებელზე და დაუსწრებელი სწავლების უმაღლეს სასწავლებელში ჩაირიცხებიან კონკურსგარეშე.

განცხადებები მიიღება ყოველდღე.

სასწავლებლის მისამართი: გორი, ბეხიკის ქ. № 2, ტელეფონი 21-53.

პირველ და მესამე მექანიკურ ქარხნებთან არსებული

ქ. თბილისის 38-ე ფექნიკური სასწავლებლის ფილიალი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1967-68 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

1. ხარატები, 2. მექანიკურ საამწყობო სამუშაოთა ზეინკლები, 3. მტვიფრავები, 4. ლითონის ჩამომსხმელები, 5. მღარავები, 6. ზეინკალი მეიარაღეები.

სწავლების ვადა ყველა სპეციალობაზე 1 წელია.

სასწავლებელში მიიღებიან 17-30 წლამდე ორივე სქესის ახალგაზრდები, რომლებსაც დამთავრებული აქვთ სრული საშუალო ან ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის 8 კლასი.

სასწავლებელში შემომსვლელმა უნდა შემოიტანოს შემდეგი საბუთები: 1. სიმწიფის ატესტატი (დედანი), 2. დაბადების მოწმობა (დედანი), 3. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, 4. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (ფორმა № 286), 5. ავტობიოგრაფია, 6. ოთხი ცალი ფოტოსურათი (ზომით (3×4), 7. სამხედრო ბილეთი ან ცნობა სამხედრო ვალდებულების შესახებ (წარმოადგინონ პირადად).

ტექნიკურ სასწავლებელში შემსვლელთათვის მისაღები გამოცდები არ ეწყობა. სწავლა უფასოა, მოსწავლეთა შერჩევა მიღების დროს ხდება საშუალო სკოლის დამთავრების ატესტატის ნიშნების მიხედვით. უპირატესობით სარგებლობენ ობლები, საბავშვო სახლში აღზრდილები, 1-ლი და მე-3 ჯგუფის ინვალიდთა შვილები, წარმოებიდან წარგზავნილები.

მოსწავლეები უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით საერთო წესის მიხედვით. ამის გარდა მოსწავლეებს საწარმოო სწავლების პროცესში გამომუშავებული თანხიდან მიეცემათ 33 პროცენტი.

რაიონიდან მოვლინებული ან ჩამოსული ახალგაზრდები უზრუნველყოფილი იქნებიან სხვა საერო მომსახურებით.

ტექნიკური სასწავლებლის წარჩინებით კურსდამთავრებულნი კონკურსგარეშე ჩაირიცხებიან დაუსწრებელ და საღამოს დასწრებულ უმაღლეს სასწავლებელში და სტაციონარულ უმაღლეს სასწავლებელში საერთო წესით, წარმოებაში მუშაობის საალდებულო სტაჟის გარეშე. სწავლის პერიოდი ითვლება საწარმოო სტაჟად.

განცხადებები მიიღება ა. წ. 15 სექტემბრამდე.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება: ქ. **თბილისი, 26 კომისრის რაიონი, შაუმიანის ქ. № 36, ტელეფონი 4-41-64.**

თბილისის № 24 ტექნიკური სასწავლებელი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1967-68 სასწავლო წლისათვის

სასწავლებელი ამზადებს მაუდ-კამოლის წარმოებისათვის მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებს:

1. **მქსოველებს,**
2. **მრთველებს.**

სწავლების ხანგრძლივობა ერთი წელია.

სასწავლებელში მიიღებიან 17-დან 25 წლამდე ასაკის ქალაშვილები, რომლებსაც დამთავრებული აქვთ ზოგადსაგანმანათლებლო არასრული და სრული საშუალო სკოლა.

სასწავლებელში მიღებულ მოსწავლეებს დაენიშნებათ სტიპენდია საერთო წესით.

საშუალო დამთავრებულნი, რომლებიც წარჩინებით დაამთავრებენ ტექნიკურ სასწავლებელს, უმაღლეს სასწავლებელში მონათესავე განხრით ჩაირიცხებიან კონკურსგარეშე.

რაიონიდან ჩამოსული მოსწავლეები უზრუნველყოფილი იქნებიან საერთო საცხოვრებლით.

სასწავლებელში განცხადებების მიღება დაწყებულია.

განცხადება შეტანილ უნდა იქნას სასწავლებლის დირექტორის სახელზე შემდეგი საბუთების თანდართვით: 1. განათლების მოწმობა (დედანი), 2. დაბადების მოწმობა (დედანი), 3. ავტობიოგრაფია, 4. ექვსი ცალი ფოტოსურათი ზომით 3×4, 5. ცნობა ოჯახური მდგომარეობის შესახებ, 6. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, 7. პასპორტი — უნდა წარმოადგინონ პირადად.

სასწავლებლის მისამართი: ა.-. **წერეთლის პროსპექტი № 140.** ტელეფონი 5-67-01, დამატებითი 3-59.

სასწავლებელი მაუდ-კამოლის კომბინატის ტერიტორიაზეა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის

გორის № 49 სასწავლებელი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1967-68 სასწავლო წლისათვის

სასწავლებელი ამზადებს შემდეგ სპეციალისტებს

1. ელექტროხელსაწყოების ტექნოლოგიური დანადგარების ამწყობ ზეინკლებს.
2. მტვიფრავებს.
3. სატვიფრო დანადგარების ამწყობ ზეინკლებს.
4. ზეინკალ-ელექტრომემონტაჟიორებს.

სწავლების ხანგრძლივობა 1 წელია.

სასწავლებელში მიიღებიან საშუალო განათლების მქონე გოგონები და ვაჟები 17-დან 25 წლამდე ასაკისა. **სასწავლებელში ჩარიცხულნი** მიიღებენ **სტიპენდიას** — თვეში 23 მანეთს, ხოლო **სწავლის ფრიადოსნები** — გადიდებულ სტიპენდიას.

ამასთან ყველა მოსწავლეს მიეცემა მათ მიერ გამომუშავებული ხელფასის 33 პროცენტი.

ყველა კურსდამთავრებული უზრუნველყოფილი იქნება სამუშაო ადგილით თავისი სპეციალობის მიხედვით. **სასწავლებელში** სწავლის დრო ეთვლებათ უწყვეტ სამუშაო სტაჟად, ხოლო ის პირები, რომლებიც სწავლის კურსს ფრიადზე დაამთავრებენ, უმაღლეს სასწავლებელში ჩაირიცხებიან კონკურსგარეშე.

სასწავლებელში შემსვლელმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები: 1) საშუალო სკოლის დამთავრების ატესტატი, 2) სამედიცინო ცნობა ჯანმრთელობის შესახებ, 3) ექვსი ფოტოსურათი (3×4), 4) დაბადების მოწმობა, 5) პასპორტი და სამხედრო ბილეთი.

განცხადებები მიიღება 1 სექტემბრამდე.

მისამართი: ქ. **თბილისი, გორგასლის 115.** ავტობუსი 19 ა და 23. გაჩერება ქარხანა „ელექტროავტომატთან“. ტელეფონი: 3-47-71, დამატებითი 82.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ჰიგიენა-ეპიდემიოლოგიის სახელმწიფო კომიტეტის

თბილისის რესპუბლიკური კინომექანიკოსთა სკოლა

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1967-68 სასწავლო წელს

სასწავლებელში მიიღებიან: არასრული და საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი, ორივე სქესის მოქალაქენი 16 წლის ასაკიდან.

სკოლა ამზადებს მეორე თანრიგის კინომექანიკოსებს სახელმწიფო კინოქსელისათვის. სწავლის ვადა 9 თვე. მოსწავლეები იღებენ სტიპენდიას თვეში 20 მანეთის ოდენობით.

სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სპეციალისტები განაწილებული იქნებიან სამუშაოდ რესპუბლიკის კინოქსელში.

სკოლაში შემსვლელნი ვალდებული არიან შემოიტანონ განცხადება დირექტორის სახელზე შემდეგი საბუთების თანდართვით: 1. განათლების მოწმობა (დედანი), 2. დაბადების მოწმობა ან პასპორტი (წარმოადგინონ პირადად), 3. ცნობა სამხედრო სამსახურთან დამოკიდებულების შესახებ ან სამხედრო ბილეთი (წარმოადგინონ პირადად). 4. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, 5. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ, 6. ავტობიოგრაფია, 7. სამი ფოტოსურათი (გადაღებული უქუდოდ 3X4 სმ), 8. მომართვა კინოქსელის განყოფილებიდან.

ჩარიცხვა იწარმოებს გასაუბრების შედეგად. მხედველობაში იქნება მიღებული ატესტატის ან განათლების მოწმობის ნიშნები და სპეციალობასთან ელემენტარული გაცნობა.

განცხადებები მიიღება მიმდინარე წლის **25 აგვისტომდე, მეცადინეობა დაიწყება 1 სექტემბერს.**

ცნობებისათვის მიმართეთ სკოლის **დირექციას** ტელ. 5-92-08 და 5-90-79, ვახუშტი ბაგრატიონის ქ. № 48.

ხელმოწერთა საყურადღებოდ!

1967 წლის სექტემბრიდან დაიწყებს გამოსვლას საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს ილუსტრირებული სარეკლამო ბიულეტენი

„ბირიმზე“

ბიულეტენი გამოვა ქართულ ენაზე.

„პირიმზეს“ გააშუქებს საქართველოს სსრ მოსახლეობის ზაყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროში გაერთიანებული ორგანიზაციების მუშაობას, მკითხველებს გააცნობს იმ სიახლეებს, რაც მრეწველობა კეთილმომსახურების მიზნით ინერგება ჩვენი რესპუბლიკის ყველა კუთხეში.

„პირიმზეს“ მკითხველებს შესთავაზებს მარცხნილობის, ფეხსაცმლის, ტანსაცმლის უახლესი მოდელის როგორც საგზოთა, ისე საზღვარგარეთულ ნიმუშებს.

გამოცდილი ექიმი-კოსმეტოლოგები სასარგებლო რჩევას მიაწვდიან ქალებს, ბაბაცნოვენ მათ ახალ კოსმეტიკურ საშუალებებს, რეცეპტებს.

რუბრიკით „ბირჩევი“ დაიბეჭდება სასარგებლო რჩევები საყოფაცხოვრებო საკითხებზე. ბიულეტენს: ექნება **იუმორის** კუთხეც, გაფორმდება მხატვრულად, ფერადი ილუსტრაციებით. დაიბეჭდება სქელ ლითოგრაფიულ ქაღალდზე.

გირჩევთ გამოიწეროთ!

„პირიმზე“ ფასიანდება ერთი ეგზემპლარი ღირება 60 კაპიკი.

ხელმოწერის ფასი:

3 თვით — 60 კაპ.
6 თვით — 1 მან. 20 კაპ.
12 თვით — 2 მან. 40 კაპ.

საქართველოს პრესის გავრცელების სამმართველო „სოიუზპეჩატი“.

ჩაკვლოთ, ჩაკვლოთ

ტელევიზია

18 აგვისტო

09.30 — კინონარკვევი, 09.50— ჩეხოსლოვაკიური მხატვრული ფილმი „გამოძახები მარტინი!“, 17.55 — გადაცემა პროგრამა, 18.00 — გადაცემა „თანამედროვე კრიტიკული რეალიზმის ზოგიერთი თავისებურება“, 18.40 — ჟურნალ „ცისკრის“ ფურცლებზე. 19.05 — კინონარკვევი. 19.15 — „ოქტომბერი და ახალგაზრდობა“ (გადაცემა, მიძღვნილი ლენინგრადში ჩატარებული ახალგაზრდობის საერთაშორისო შეკრებისადმი), 19.40 — კინონარკვევი, 19.50 — გადაცემა „ლენინის დეკრეტით“ — (პირველი საბჭოთა ნაკრძალების შექმნის შესახებ), 20.20 — კინონარკვევი, 20.35 — „სალამის პანორამა“ — სატელევიზიო ცნობათა ბიურო, 21.15 — ახალი ამბები (ქართულ და რუსულ ენებზე), 21.35 — მხატვრული ფილმი „ამბავი ნამდვილ ადამიანზე“, 23.10 — გადაცემათა პროგრამა 19 აგვისტოსათვის, 23.15 — სიმღერის მე-7 საერთაშორისო ფესტივალი (გადმოცემა სოპოტიდან).

მეცხრე არხით — ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა. დასაწყისი დღისით 12 საათიდან, სალამოს — 17 ს. 40 წ.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

კომუნისტი | თბილისი, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების — 9-93-03. 9-03-09, პ/მგ მდივნის — 9-72-80 სამდივნოსი — 9-66-10 განყოფილებებისა: პარტიული — 9-87-61 პროპაგანდის — 3-22-93, მრეწველობის — 3-20-34, სოფლის მეურნეობის — 9-52-46, სიბეჭდოთა მშენებლობის — 3-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 3-27-58 ლიტერატურისა და ხელოვნების — 9-55-01, ინფორმაციის — 3-16-90, წერილების — 9-73-24 ილუსტრაციის —